


საქართველოს გერამიკოსთა
ასოციაციის ჟურნალი

კერამიკა



CERAMICS



JOURNAL OF THE GEORGIAN
CERAMISTS' ASSOCIATION

Vol. 17. 2(34). 2015

ISSN 1512-0325

saqar T vel o s ker ami ko sT a aso ci aci i s Jur nal i
JOURNAL OF THE GEORGIAN CERAMISTS' ASSOCIATION



ker ami ka **CERAMICS**

samecni er o-teqni kuri da sawarmoo il ustrirebuli,
registrirebuli, referirebadi Jurnal i

Vol. 17. 2(34).2015

ს ა რ ე დ ა ძ ვ ი მ ა ბ ი ბ ი ლ ი ბ ი ბ ი ლ ი ბ ი ბ ი ლ ი

ი. ბერძენიშვილი, მ. ბიბილაშვილი, გ. გაფრინდაშვილი (მთ. რედ. მოადგილე),
ა. გრიგოლიშვილი, რ. თურმანიძე, მ. ქეკელიძე, ზ. კოვზირიძე (მთ. რედაქტორი),
ნ. კუციავა, რ. მამალაძე (მთ. რედ. მოად.), ზ. მესტვირიშვილი, მ. მუჯირი, ნ. ნიუარაძე
(პასუხისმგებელი მდივანი), ა. სარუხანიშვილი (მთ. რედ. მოად.), ა. სოხაძე, გ. ტაბატაძე,
ე. შაფაქიძე, რ. ხუროძე, თ. ჭეიშვილი.

EDITORIAL BOARD:

I. Berdzenishvili, M. Bibilashvili, T. Cheishvili, G. Gaprindashvili (vice-editor-in-chief), **A. Grigolishvili, M. Kekelidze, R. Khurodze, N. Kuciava, Z. Kovziridze** (editor-in-chief), **R. Mamaladze** (vice-editor-in-chief), **Z. Mestvirishvili, M. Mujiri, N. Nizharadze** (executive secretary), **A. Sarukhanishvili** (vice-editor-in-chief), **A. Sokhadze, G. Tabatadze, R. Turmanidze, E. Shaphaqidze**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

И. Бердзенишвили, М. Бибилашвили, Г. Гаприндашвили (заместитель главного редактора),
А. Григолишвили, Р. Турманидзе, М. Кекелидзе, З. Ковзиридзе (главный редактор), **Н. Куциава, Р. Мамаладзе** (заместитель главного редактора), **З. Мествиришвили, М. Муджири, Н. Нижарадзе** (ответственный секретарь), **А. Саруханишвили** (заместитель главного редактора), **А. Сохадзе, Г. Табатадзе, Е. Шапакидзе, Р. Хуродзе, Т. Чеишвили.**

შურიალზე „კერამიკა“
გამოქვეყნისათვის სტატიების
მიღმითადი მემატიკა

ყველა სახის მინის,
კერამიკის, კერამიკული და
არლიაქტული კომპოზიტების,
ზეგამთანი გასაღების,
ჭიქურის და მინერალის,
სხმული კვის,
მინერალური პარაბის,
მჭიდრო გასაღების, ცემენტის და სხვა
არარეალური,
მემლერებადი,
ახალი და ტრადიციული გასაღის
სფეროში
ჩატარების მიღმითადი მემატიკა
და მისამართის დაცვა
არარეალური კერამიკის დაცვა
კერამიკული გამოცდილება
და მისამართის დაცვა
სამუშაოების დაცვა
კერამიკული გამოცდილება
და მისამართის დაცვა

შურიალზე აგრძელებული განვითარების უსაკლებელი განვითავსდეს:
სტატიები შემდეგ საპირისპირი:

- ✓ ახალი ტექნიკა, მოწყობილობა სანარმოთა და წარმოების ტექნიკური გადამარატება.
- ✓ სანედლეულო ბაზის განვითარება, ნედლეულის რაციონალური გამოყენება, მათ შორის ადგილობრივი წარმოების ნაჩრენების.
- ✓ რესურს- და ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიები. გარემოს დაცვა.
- ✓ სანარმოთა სამუშაოები მოდვაწეობა საბაზრო პირობებში, ეკონომიკა, მრავალწევითობა.
- ✓ საქართველო გამოცდილება.
- ✓ ინფორმაცია, რეკლამა.

- ენერგეტიკა
- მშენებლობა
- სახალხო მოხმარების საგნები
- ქიმია და ქიმიური ტექნოლოგია
- მასალათმცოდნეობა
- მეტალურგია
- ელექტრონიკა და ელექტროტექნიკა
- მედიცინა
- ოპტიკა
- სხვა სფეროები
- გარემოს დაცვა

ბ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ნიკოლოზ ბერიძეს დაბადებიდან
მე-100 წლისთავთან დაკავშირებით



უსაზღვროდ დიდია პროფესორ ნიკოლოზ ბექაურის დგაწლი ქიმიური მეცნიერების, ქიმიური ტექნოლოგიის, საქართველოს ნავთობის გადამუშავების ტექნოლოგიის განვითარებაში. ამაზე მეტყველებს მის სახელთან დაკავშორებული სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ორასზე მეტი სტატია და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში აღზრდილ ქიმიკოსთა და ინჟინერ-ტექნოლოგთა სიმრავლე. ბატონი ნიკო (ასე მიმართავდნენ ნიკოლოზ ბექაურს)

მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეების ინიციატორი და ავტორი იყო.

ამ დიდი მეცნიერის საინტერესო და ღირებული შრომები ეხება არა მარტო ნავთობური საწვავების გაკეთილ შობილებას და ოქტანური რიცხვის გაზრდას ალუმინიკატური თიხამიწების კატალიზატორებად გამოყენების საფუძველზე, არამედ ნავთობებიდან სხვა ძვირფასი პროდუქტების – ლუმინოფორების, თეთრი ზეთების და ა.შ. მიღების ტექნოლოგიის შემუშავებას და დანერგვას.

ბატონმა ნიკომ საქართველოს – ნორიოს ნავთობიდან მიიღო ქართული ლუმინოფორი „ნორიოლი“, რომელიც გამოიყენება ლითონებისა და პლასტიკური მასების საფუძველზე დამზადებული დეტალების დეფექტოსკოპიაში. მის სახელთანაა დაკავშირებული არასასაქონლო დანიშნულების ნავთ-გაზოილის ფრაქციის კატალიზური გარდაქმნით ლუმინესცენციური სითხის – „შუბეკოლის“ მიღება, რომელმაც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საპატიო ჯილდო დაიმსახურა ნაკლები ტოქსიკურობის, მიღების და მოხმარების წესის სიმარტივისა და სიიაფის გამო.

უმნიშვნელოვანებია ამ პრაქტიკოსი მეცნიერის კვლევები ბუნებრივი ნედლეულის – გუმბბრინის გამოყენებასთან დაკავშირებით. მან რიფორმინგის პროცესში კატალიზატორად პირველმა გამოიყენა გააქტიურებული გუმბბრინი სანათი ნავთისა და ნავთ-გაზოილის ფრაქციიდან რეაქტიული საწვავის მისაღებად. ასევე ღი-

რებულია მეცნიერული კვლევები, სადაც მან შეისწავლა ნათელი ფრაქციების გამოსავლიანობის გაზრდის შესაძლებლობა სხვადასხვა მისართის – სოფლის მეურნეობის თხევადი ნარჩენებისა და მეორეული პროდუქტების თანაობისას ნავთობის ატმოსფერული გამოხდის პროცესში.

მნიშვნელოვანია ბატონი ნიკოს ლვაწლი საქართველოს ნავთობიდან სპი-ის პატივსაცემად სახელდებული მინერალური თეთრი ზეთების – „სპიოლ-1-სა“ და „სპიოლ-2-ის“ მიღებასთან დაკავშირებით. მისი ხელმძღვანელობით პრაქტიკულად განხორციელდა აღნიშნული პროდუქციის მიმღები დანადგარის მონტაჟი ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე. „სპიოლ-1-მა“ და „სპიოლ-2-მა“ სინთეზური და ქიმიური ბოჭკოს მაფის ფორმირებისთვის საჭირო შემზეთავში შეცვალა ძვირად დირებული და მწვავედ დეფიციტური სილიკონის ზეთი. ასევე ამ უნიკალურმა ზეთებმა ფართო გამოყენება პოვა, როგორც ანტიადჰეზიურმა საშუალებამ წნევფორმაში ტექნიკური პლასტიკური მასალიდან დეტალების დაწნებისას. აღნიშნული ზეთები გამოიცადა და დაინერგა ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ქიმიური ბოჭკოს, მსუბუქი მრეწველობისა და სამხედრო დანიშნულების ქარხნებში.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოდვაწეობასთან ერთად ბატონი ნიკო აქტიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანული და ნავთობქიმიური ტექნოლოგიის კათედრას, აქტიურად იყო ჩაბმული ფაკულტეტისა და მშობლიური უმაღლესი სკოლის სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ბატონ ნიკოს პიროვნული თვისებები – იყო უაღრესად შრომისმოყვარე, განათლებული, კეთილი, ლმობიერი, ზოგჯერ მკაცრი და შეუვალი, სამართლიანი და უდალატო, მშვიდობიანი და ყველას მოყვარული, ქვეყნის პატრიოტი, თავდადებული; ომგამოვლილი, ცხოვრებისეული გამოცდილებით უაღრესად მდიდარი, დიდ სიკეთეს, სულიერ სიწმინდეს, მეგობრობის გრძნობას, გულწრფელობას და პატიოსნებას აღვივებდა გარშემო მყოფთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა კოლეგებსა და სტუდენტებს შორის, არ აკლებდა მათ მამაშვილურ მზრუნველობას, გულისხმიერებას, ადამიანურ სიყვარულსა და სითბოს.

ამის გამო, ეს დირსეული პიროვნება დამსახურებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა თანამშრომლებს, კოლეგებსა და სტუდენტებს შორის.

ბატონი ნიკოს ხსოვნა, როგორც ამაგდარი აღმზრდელისა და დვაწლმოსილი მეცნიერის, მუდამ დარჩება მისი აღზრდილების, კოლეგებისა და ახლობლების მეხსიერებაში. ყოფილი სტუდენტები, ამჟამად კი კოლეგები ხშირად ვიხსენებთ იუმორით შეზავებულ მის გამონათქვამებს და ცხოვრებისეულ რჩევებს.

ბატონი ნიკოს ხსოვნას დირსეულ პატივს მიაგებენ მისი დიდი ოჯახის წევრები: შვილი მანანა, რომელიც დღემდე ბატონი ნიკოს მიერ დაფუძნებული მიმართულების პედაგოგია, მისი შვილები – ირაკლი და ნიკოლოზი და ექვსი შვილიშვილი, ასევე უდროოდ, ტრაგიკულად დაღუპული ვაჟის – ვახტანგის შვილები ნიკოლოზი და მიხეილი.

ბატონო ნიკო, მდაბლად ვხრით თავს თქვენი ხსოვნის წინაშე.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი
ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი
ძირითად ორგანულ ნივთიერებათა და ნავთობპროდუქტების
ქიმიური ტექნოლოგიის მიმართულება
ეურნალ „აერამიკის“ რედკოლეგია**

საქართველოს ლოგისტიკური ფირმების პონარეფუნარიანობის ამაღლების გზების პრეზენტაცია

ალ. კანკაძე, თ. კილაძე, ი. ამანათაშვილი

ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 68ბ

E-mail: akankadze@yahoo.com

რეზიუმე: კვლევის მეთოდი მდგომარეობს ლოგისტიკური ფირმების, ტვირთის მფლობელების, დისტრიბუტორების და გადამზიდავების ურთიერთობათ და ფირმების გამოკვლევასა და საქმიანი თანამშრომლობის ეფექტიანად განვითარების მიზნით კომპლექსური ლოგისტიკური სერვისის წარმოებაში, კერძოდ კონტრაქტლოგისტისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის დანერგვა და ათვისება.

აღნიშნულის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობა, როგორც მათი მსოფლიო ლოგისტიკურ სისტემებში მონაწილეობისა და მოქმედების საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: ტრანსპორტის ლოგისტიკა; კონომიკურ-მათემატიკური მოდელირება; ოპტიმიზაციის მეთოდები.

1. შესავალი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ლოგისტიკას, რომელიც, თავის მხრივ, მეტად დინამიკური მიმართულებაა. ლოგისტიკური მიმართულების განვითარება საქართველოს ინტეგრაციის საფუძველია საერთაშორისო გლობალურ ლოგისტიკურ ქსელში. მსოფლიო ბაზრებთან ეფექტიანი დაკავშირება განაპირობებს მაღალი ხარისხის სერვისს, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი პირობაა პირველ რიგში საქართველოს ლოგისტიკური ფირმებისათვის. [1-3]

ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ანალიზისას აუცილებელია განხილული იყოს შემდეგი საკითხები:

- საქართველოში ლოგისტიკური ფირმების საქმიანობის მიმართულებები და სახეები, მათი როლი ქვეყნის კონომიკის განვითარებაში;
- ლოგისტიკურ კომპანიებს შორის კონკურენციის თავისებურებები;
- ლოგისტიკური საქმიანობის დაგეგმვის მიმართულებები და კონკურენციის როლი ლოგისტიკური კომპანიების ურთიერთობებში;
- ლოგისტიკური და მარკეტინგული ურთიერთობები;

- ტრანსპორტის სფეროში მოქმედი ლოგისტიკური კომპანიები, მათი საქმიანობის შესატყვის სატრანსპორტო ნაკადებისა და სტატისტიკის კვლევები;

- ლოგისტიკური კომპანიების მართვის იურიქიული სტრუქტურებისა და ლოგისტიკის მენეჯმენტის თავისებურებები;

- ტვირთის ნაკადის დაგეგმვა და ბიზნესურთიერთობის მართვა;

- განაწილების არხები და ლოგისტიკური პროცესების მართვა;

- ლოგისტიკის სტრატეგიული დაგეგმვა;

- მოდელირება ლოგისტიკაში;

- კონომიკური ეფექტიანობის შეფასება [4-7].

2. ძირითადი ნაწილი

საქართველოს ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზების კვლევა პირდაპირ კავშირშია დოგისტიკური ფირმების საქმიანობის ეფექტიანობასთან და იმასთან, რამდენად შეუწყობს ხელს მოცემული კვლევის შედეგი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. კვლევის სტრატეგიად მიგანია არხებული ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა გამოკვლევებისა და გამოცდილების შესწავლა, განზოგადება, გაანალიზება და იმის დადგენა, თუ რამდენადა მიახლოებული იგი, საქართველოს ლოგისტიკური ფირმების სერვისის ხარისხის, მომსახურების გარანტიებისა და საიმედოობის მიხედვით, მსოფლიოში აღიარებულ ლოგისტიკურ კომპანიებთან, რა უნდა გაკეთდეს, რათა მათი შეფასების საფუძველზე მოხდეს კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება [3, 5, 10].

გამოკვლეული უნდა იქნეს საქართველოს ლოგისტიკური ფირმების აღგილი ბაზარზე, საქმიანობისა და სერვისების ხარისხის დონე, კონკურენციის პირობებში მოქმედება და ურთიერთსარგებლიანი საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობა.

ამისთვის აუცილებელია:

- შესწავლით იქნეს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი ლოგისტიკური ფირმების საქმიანობა და ლოგისტიკური პროცესების შედარებითი ანალიზი კონკურენტებთან მიმართებაში.

- კვლევა ჩაუტარდეს და შეფასდეს რამდენიმე ლოგისტიკური პროცესის ეფექტიანობა,

მათ შორის ლოგისტიკური პროცესებისა: დაგეგმვა, პროგნოზირება, შესყიდვა, წარმოება, საკუთარი მიწოდების ჯაჭვის, დაბრუნების დასხვა.

- კვლევით დადგინდეს საქართველოს ეკონომიკის რომელი დარგებია მნიშვნელოვნად ჩართული ლოგისტიკური ოპერაციების შესრულებაში და რა წვლილი შეაქვთ მათ ამ მიმართულების განვითარებაში.

- აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორები, რომელიც უშეალო კავშირშია არა მარტო კომპანიებს შორის, არამედ ინდუსტრიულ ქვეყნებსა და სატრანსპორტო დერეფნებს შორის არსებულ კონკურენციასთან.

- საჭიროა ქვეყნის ლოგისტიკური კომპანიების კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა.

ამ დროს დადგინდება კონკურენტუნარიანობაზე რა გავლენას ახდენს საქართველოში არსებული სასაწყობო მეურნეობის დაბალი დონე, რომელიც თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით უფრო ახლოა საბჭოთა სტილსა და სტრუქტურის ინფრასტრუქტურასთან ანუ დღვევანდელ საქართველოში არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტის A კლასის სასაწყობო მეურნეობა. არსებული დაბალი კლასის B და C კლასის საწყობები ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს ვერც ვეროპული და ვერც გლობალური ლოგისტიკის პირობებსა და განვითარების დონეს, შესაბამისად ქვეყანაში არ არსებობს სწორად განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა. მიუხედავად ამისა, საქართველო ხელსაყრელი ლოგისტიკური ადგილმდებარების მეშვეობით ევროპა-აზიის ბუნებრივ ლოგისტიკურ პაბს წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, მსხვილი ლოგისტიკური ცენტრია ანუ სასაწყობო დასახლებაა. იგი საკმაოდ სხვადასხვაგვარია და მოიცავს არა მარტო მხოლოდ საწყობებს, არამედ საწარმოო შენობა-ნაგებობებს, სადაც ხდება დამუშავება ან მომზადება სასაქონლო პროდუქციის გადასაზიდად, სატვირთო ავტომობის-პორტის რემონტს, საბაზო უბანს და სხვა ელემენტებს, რაც აუცილებელია უწყვეტი ტკირთნა-კადების ორგანიზებისათვის. პაბში ანუ ლოგისტიკურ ცენტრში მოხვედრილი საქონლისთვის საჭიროა არა მარტო მისი მიღება, არამედ გასუფთავება, მიუხედავად იმისა, როგორ შემოიტანეს ის – კონტეინერის თუ სხვა საშუალებით. ანუ ნებისმიერი შემოტანილი ტკირთო უნდა დამუშავდეს. თუ გავითვალისწინებთ ლოგისტიკური ცენტრის საქმიანობას, საქართველოს ლოგისტიკურ ფირმებს საშუალება ეძლევა გამოიყენოს საქართველოს ლოგისტიკური პოტენციალი და თავისი ლოგისტიკური საქმიანობა წარმატებით [1-8].

ჩვენი შეხედულებით საქართველოს არ გააჩნია ქსელური ეფექტი და ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დეფიციტის გამო არ ხდება სინერგიების (ორი ან მეტი ურთიერთდამაკავშირებელი ფაქტორების ჯამური ეფექტიანობა) ათვისება სატრანსპორტო გადაზიდვებსა და საერთოდ ლოგისტიკაში. ჩვენი აზრით, საჭიროა სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სისტემური განვითარება, რაც კონკურენტუნარიანის გახდის საქართველოზე გამახალ სატრანსპორტო კორიდორს და შესძენს არა მარტო ეფექტიანი სატრანსპორტო დერეფნის იმიჯს, არამედ ლოგისტიკურ ფირმებსაც შემატებს გამოცდილებასა და საჭმიანობის მენეჯმენტის მაღალ ხარისხს.

დღვევანდელი მდგომარეობით არაა გამორკვეული რა როლს ასრულებს ტრანსპორტის სხვადასხვა სახეობის დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დეფიციტი ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობაზე. ამ მოვლენის კვლევით გამოიკვეთება ისეთი მითხოვები, რომელთა შესრულება საქართველოს ლოგისტიკურ ფირმებს უფრო დაახლოებს ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ლოგისტიკური პროცესების მართვის ეფორცულ და საერთოდ მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებთან.

აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს, როგორც ხელსაყრელი ლოგისტიკური ადგილმდებარების, კონკურენტუნარიანობის ზრდა რა გავლენას მოახდენს ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობაზე და გახდება თუ არა ეს ფირმების კონკურენტული უპირატესობა [3,5,9].

- საჭიროა გამოკლევა, რა გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანსპორტო გადამზიდავების ლოგისტიკური ფირმებისა და ინფრასტრუქტურის ოპერაციებს შორის ურთიერთსარგებლიანი თანამშრომლობის გადრმავება ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობასა და მენეჯმენტის ხარისხის დონეზე.

- უნდა დადგინდეს, რა გავლენას მოახდენს ლოგისტიკურ ფირმებში, ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში მოწინავე აკადემიური პროგრამების განვითარება და ლოგისტიკაში უახლოესი ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოს ლოგისტიკის გრძელვადიანი სახელმწიფო სტრადგვითი ხამოყალიბებასა და განვითარებაზე, რაც, თავის მხრივ, აამაღლებს სატრანსპორტო ქსელური ეფექტის ხარისხს.

- საჭიროა ლოგისტიკური ფირმების, ტკირთის მფლობელების, დისტრიბუტორების და გადამზიდავების ურთიერთობათა დეფიციტის გამოკლევა და, საქმიანი თანამშრომლობის ეფექტიანი განვითარების მიზნით, კომპლექსური ლოგისტიკური სერვისის წარმოება, კერძოდ კონტრაქტლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის დანერგვა და ათვისება. ლოგისტი-

კური ტექნოლოგიებისა და ინოვაციების, ასევე ლოგისტიკური ფირმების მიერ საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, როგორც კონკურენტული უპირატესობის, გამოყენებით პირველი ლოგისტიკური ფირმები გახდება მაღალი დონის კონკურენტუნარიანი ფირმები, ხოლო მეორე საქართველო – გლობალური ლოგისტიკური ქსელის ნაწილი [4-8].

კვლევის ამ ნაწილით დგინდება საკითხის ორი განსხვავებული მიდგომა: 1. საქართველო თავისი ადგილმდებარეობით – კონკურენტული უპირატესობა და 2. გარემო, როგორიც გავლენას ახდენს ფირმების კონკურენტუნარიანობაზე. ამ ურთიერთობებში გამოიკვეთება მომთხოვნი მომხმარებლები, ძლიერი კონკურენტები, ძლიერი საქონლისა და დამხმარე დარგების კომპლექსები. საქართველოს კონკურენტუნარიანობა ჩვენს შემთხვევაში ნიშავს უნარს გამოავლინოს, შექმნას და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა სხვა რეგიონების მიმართ, რადგან ესაა მისი მოგებიანი პოზიცია, რაც, თავის მხრივ, გამოკვეთილი, მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებია, რომლებიც განსაზღვრავს მიზნობრივი ბაზრების თავისებურებებს.

ამის საფუძველზე უნდა გამოიკვეთოს ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობა, როგორც მათი მსოფლიო ლოგისტიკურ სისტემებში მონაწილეობისა და მოქმედების საფუძველი.

ჩვენ მიერ მითითებულია პრობლემების თანამედროვე მდგომარეობა, კვლევის ობიექტის დახასიათება, კვლევის სტრატეგიის გამოკვეთა, მეცნიერებლი სიახლეები. ლოგისტიკურ სისტემებში მოქმედი ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლების დონის თავისებურებების გამოკვევის მიმართულებები განსაზღვრავს სამეცნიერო პროექტიალი, ლოგისტიკურ, ქვექნის სამეწარმეო და ბიზნესგარემოში მოქმედ საბაზო-ორიენტირებულ ფირმებში დაინერგოს მსოფლიოში აღიარებული თანამედროვე ლოგისტიკური მიდგომები და სისტემები. აქედან გამომდინარე, სტატია აქტუალურია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

ირგვლივ არსებობს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები, მაგრამ ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობის გამოკვლევის შესახებ მდგრმარეობა არასახარბიელოა, ჯერჯერობით რაიმე დირექტული და მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომა არ გამოქვეყნებულა [6,8,11,12].

3. დასკვნა

სამეცნიერო პროექტის აქტუალურობა მნიშვნელოვნია ქვექნის გეონომიკის სხვადასხვა დარგში ლოგისტიკის საწარმოო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის განვითარებისა და სრულყოფისათვის, ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა დონის მიკრო- და მარტოლოგისტიკურ სისტემებში ლოგისტიკური საქონელგამტარი სისტემებისა და სტრუქტურების შექმნის აუცილებლობა და საჭიროება. აქტუალურია დროულად და ეფუქტიანად გამოვიყენოთ მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილება, ქვექნისა და ლოგისტიკური ფირმების სამეცნიერო ტექნიკური პოტენციალი, ლოგისტიკურ, ქვექნის სამეწარმეო და ბიზნესგარემოში მოქმედ საბაზო-ორიენტირებულ ფირმებში დაინერგოს მსოფლიოში აღიარებული თანამედროვე ლოგისტიკური მიდგომები და სისტემები. აქედან გამომდინარე, სტატია აქტუალურია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

1. ეკონომიკური ფაქტორი. კვლევით გამოიკვეთა საწარმოო და მარკეტინგული ხარჯების შემცირების გზები როგორც ლოგისტიკური ფირმის, ასევე მომხმარებლის ინტერესების სრული დაკმაყოფილების მიზნით. ამრიგად, ბაზარზე კონკურენტული ურთიერთობების პირობებში „პრინციპი ანგარიში-სარგებელი-მომხმარებელი“ უკრადებების ცენტრშია და ლოგისტიკის პოტენციალი პირველ რიგში ამ პრინციპს განახორციელებს;

2. ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფაქტორი. საბაზო ეკონომიკის პირობებში საბაზო ურთიერთობების განვითარების დროს მიმდინარეობს კომპეტიტურებისა და ინტეგრაციის პროცესები, იკვეთება გაერთიანების შექმნის აუცილებლობა და აქტუალურობას იძნეს საწარმოდამაშადებლების, მომხმარებლების, შუამავლების, სასაწყობო მეურნეობებისა და ტრანსპორტის ურთიერთმედება, ლოგისტიკური პროცესების ოპერატიულად შესრულება და ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

3. საინფორმაციო ფაქტორი. ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობის საქმეში ლოგისტიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს დროული, საჭირო და ფაქტორის ინფორმაციის მიღება, ანალიზი და დამუშავება, რაც აქტუალურია თითოეული ლოგისტიკური ფირმისათვის, რადგან ფირმა, რომელიც უფრო ინფორმირებულია და ოპერატიულად ასრულებს შეკვეთებს, მისი კონკურენტუნარიანობა მაღალია, რადგან ინ-

საბჭოთა საქართველოში მოქმედებდა სახელმწიფო მართვის ორგანოები მატერიალურებების მომარაგებისა და გასაღების დარგში, მუშავდებოდა სხვადასხვა მეცნიერებლი თუ მეთოდური ნაშრომები, რომლებიც შეგვიძლია განვითაროთ, როგორც ლოგისტიკური ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლების დონის თავისებურებების გამოკვევის მიმართულებები განსაზღვრავს სამეცნიერო პროექტიალი, ლოგისტიკურ, ქვექნის სამეწარმეო და რაზენიზაციის მეწარმების მეცნიერებლების მიზნით მომხმარებების გასაღების ეკონომიკა და ორგანიზაცია, სასაწყობო და ტარის მეურნეობის მომარაგების მართვა, წარმოების ოპერატიულ-კალენდარული დაგეგმა, სატვირთო გადაზიდვების ორგანიზაცია, მართვა და სხვა. მიუხედავად ამისა, საქართველოში ტერმინი „ლოგისტიკა“ 10-15 წლის წინათ გამოჩნდა. შესაბამისად მისი ადაპტირება ეკონომიკურ საქმიანობასთან ნელ-ნელა, მაგრამ თანდათანობით სახეს იღებდა და, შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით, ლოგისტიკის

ფორმაცია მჭიდროდ აკავშირებს ბაზარს დო-
გისტიკასთან;

4. ტექნიკური ფაქტორი. მისი გამოვლენა
ხდება იმით, რომ ლოგისტიკური ფირმების გან-
ვითარებაში აქტუალურია სატრანსპორტო სასა-
წყობო მეურნეობის აღჭურვა უახლესი ტექნი-
კური საშუალებებით, ლოგისტიკურ სისტემებში
ნერგავს ინოვაციებს, შესაბამისად იზრდება
ტექნოლოგიური დონე, რაც ამაღლებს კონკუ-
რენციუნარიანობის დონეს და აქტუალურია.

საქართველოს ლოგისტიკურ ფირმებში
მნიშვნელოვანია და აქტუალური მენეჯმენტის
მარკეტინგულ-ლოგისტიკური კონცეფციის და-
ნერგვა, როთაც შესაძლებელი ხდება გამოვთვა-
ლოთ ლოგისტიკურ-მარკეტინგული დანახარჯე-
ბის წარმართვის კონკრეტული ვარიანტები, გა-
ვარკვიოთ ლოგისტიკური საქმიანობის ცალ-
კებულ სახეთა გავდენა ლოგისტიკურ დანახარ-
ჯებზე, რაც ფირმების კონკურენციუნარიანობის
განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს და ამით
დავადგენო რამდენად მომგებიანია და რენტა-
ბელური თითოეული ფირმის საქმიანობა რო-
გორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო ლოგისტიკურ
ბაზარზე.

ლიტერატურა

- ლ. ბოგაძე, პ. ერაძე, ვ. ბოგაძე. ლოგის-
ტიკური მენეჯმენტი და მოდელირება. SBA-
თბილის 2010, გვ. 90-95; 149-157; 195; 285-291;
410-412.
- ლ. ბოგაძე, პ. ერაძე, ვ. ბოგაძე. ლოგის-
ტიკური მენეჯმენტი და მოდელირება. SBA-
თბილის 2007, გვ. 24-98.
- Буленко Н.П. Моделирование сложных систем. -2-
е изд. переработ. –М.: Наука, 1978, с. 23-28.
- Гаджинский А. М. Логистика. Учебник для вузов.
3-е изд., перераб. и доп. – Москва: ИВЦ «Марке-
тинг», 2000, с. 46-48.
- Джефри Г. Шатт. Управление товарными пото-
ками. Перс англ. Минск, 2008, с. 25-29.
- Кепнет Лајонс, Майкл Джиллингем. Управление
закупочной деятельностью и цепью поставок. Мо-
сква, 2010, с. 450-461.
- Имитационное моделирование производственно-
транспортных систем. Statishe Probleme bei der
Simuation/Fischer I., Kraunh//F+H; Fordern und He-
ben-1989-39 №11-39. –с. 899, 902, 988.
- Мескон М., Альберт М., Хедоури Р. Основы ме-
неджмента. – Москва, 1992, с. 37-39.
- Миротин Л.Б., Бульба А.В., Деминапа В.Н. Логи-
стика, технология, проектирование. Ростов-на-
Дону: Феникс, 2009, с. 27-33.
- Мур Джейфри, Уедерфорд Ларри Р. И др. Эконо-
мическое моделирование в Microsoft Excell. 6-е
изд., с англ. – Москва.: Изд. Дом «Вильяне», 2007,
с. 398-403.
- Shapiro I.F. Modelling the sypply Chain/ -DuxBURY,
Thanson Lerning, 2001.- p.231-243.
- Bowersox D/I., Closs D.I. Logistical Management. –
The Inegrated Supply chaim Pracess.. – The Mecraw-
Hill Companie, inc. New York, 2007. P. 78-86.

UDC 330: 625

GEORGIAN LOGISTICS FIRMS TO IMPROVE THE COMPETITIVENESS OF THE ROAD SURVEY

A. Kankadze, T. Kiladze, I. Amanatashvili

Resume: To research effectiveness of some logistic process. To establish which industries of Georgian Economy are measurably involved in research, to determine the performance of the logistics operations and to find out how they help to contribute the development of these industries.

It is necessary to define the logistics firms to improve the competitiveness of the factors used in connection with not only companies, but also in the industrialized countries and the transport corridor between the competition.

The method is logistic firms, goods holders, distributors and carriers in the gap between research and business co-operation in the development of efficient production of complex logistic services, namely: To assimilate and to research chain management of Agreement logistic and supply .

Based on the need to outline the logistics competitiveness of firms, as their global logistics systems and active participation in the foundation.

Key words: transport; logistics; economic and mathematical modeling; optimization methods.

УДК 330: 625

ИССЛЕДОВАНИЕ ПУТЕЙ ПОВЫШЕНИЯ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ ЛОГИСТИЧЕСКИХ ФИРМ ГРУЗИИ

Канкадзе Ал.Дж., Киладзе Т.Д., Аманаташвили Я.Т.

Резюме: Проведены исследование и оценка эффективности нескольких процессов логистики. Исследованием установлено какие отрасли экономики в Грузии основательно включены в исполнение логистических операций и какую долю вносят в развитие отрасли.

Следует определить повышение факторов конкурентоспособности логистических фирм, которые тесно связаны не только между компаниями, но и индустриальными странами существующей конкуренцией между транспортными коридорами.

Метод исследования состоит в выявлении дефицита отношений между логистическими фирмами, владельцами, дистрибуторами; выявлении дефицита отношений и делового сотрудничества с эффективным развитием комплексного логистического производства сервиса. Конкретно: контрактлогистика и цепь подачи, внедрение и признание менеджмента.

На основании отмеченного нужно выявить конкурентоспособность логистических фирм, как участвующих и действующих в системах мировой логистики.

Ключевые слова: логистика транспорта; экономико-математическое моделирование; методы оптимизации.

შაპ 616-006:615.84

მართვადი ლოკალური ჰიპერტენზის მეთოდით სფრო ნაწლავისა და საშვილოსნოს გელის გიბოს სამძურნალო ააარატი

ზ. კოვჩირიძე

ქმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: kowsiri@gtu.ge

რეზიუმე: შესწავლილია ჰიპერტენზის მონო-
თერაბიული ეფექტი კიბოს პროექტოლოგიური და
საშვილოსნოს გელის დავადებების წინააღმდევებ-
მართვადი ლოკალური ჰიპერტენზის მეთოდის
განვითარებისათვის, ექსპერიმენტულ მასალაზე
დაყრდნობით, გამოყენებულ იქნა ხელსაწყო
„ლეზი”, რომელიც შეიქმნა სტუის ბიონანოკე-
რამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდ-
ნეობის ცენტრში.

ყველა ცხოველში (ალბინოსი, 3 თვის თაგვე-
ბი) დაფიქსირდა კიბოს დავადების შეჩერება
და განვითარდა ინტრატემორული ნეკროზი (სა-
ქართველოს ინტერესულური საკუთრების
ეროვნული ცენტრი, საქპატენტი). დეპონირების
დამადასტურებელი მოწმობა 5054. “მართვადი
ლოკალური ჰიპერტენზი და მაგნიტური ჰიპერ-
თერმია კიბოს დავადებების სამკურნალოდ”).

დადგინდა, რომ 7-10 სეანსის შემდეგ სიმსივ-
ნე დაწყებულდა, რაც ექსპერიმენტის დადებით
შედეგზე მეტყველებს (პათოლოგიურ-ანატომიუ-
რი ლაბორატორია „პათჯეოს” დასკვნა. გამოკვ-
ლების №3119-12, ჰისტოპათოლოგიური გამოკ-
ვლება №15272-13. დიაგნოზის გაცემის თარიღი
14.01.2014 წ., თბილისი, საქართველო).

საკანძო სიტყვები: მართვადი ლოკალური
ჰიპერტენზია; ნეკროზი; დაწყებულება; მეტასტა-
ზი.

1. შესავალი

პრობლემის აქტუალურობა და კვლევის სიახლეები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემე-
ბით, ავთვისებიანი სიმსივნეებით განპირობებული
ავადობისა და მისგან გამოწვეული სიკვდილია-
ნობის მაჩვენებელი გამუდმებით იზრდება მთელ
მსოფლიოში. დღეისათვის ონკოლოგიურ ავად-
მყოფთა მეურნალობაში წამყვანი როლი ენიჭება:

1. ქირურგიულ მეთოდებს;
2. ქიმიოთერაპიას;

3. სხივურ თერაპიას.

ჰიორმონო- და იმუნოთერაპია დამხმარე მეთო-
დებია.

თუმცა, ხშირ შემთხვევაში, კვალიფიციურად
ჩატარებული ჩარევის მიუხედავად, დაავადება
ლეტალური გამოსავლით მთავრდება. გარდა პო-
ლიორგანული უკმარისობისა, ამის მიზეზია ქი-
მიო-რადიოთერაპიათ გამოწვეული იმუნური სის-
ტემის დათრგუნვა, მიელოდეპრესია, ლეიკოპენია,
კარდიო-, ნეფრო-, ჰეპატო- და ნეიროტოქსიკუ-
რობა, ინტერაციურნებული მიკრობული გართულე-
ბები და სხვა. ყოველივე ეს განაპირობებს ავთვი-
სებიანი სიმსივნეების მკურნალობის ახალი გზე-
ბის ძიების უცილებლობას, რომლებიც მიმარ-
თული იქნება სიმსივნის საწინააღმდეგო სტრატე-
გიის გასაძლიერებლად.

პირველად საქართველოში შევისწავლით მარ-
თვადი ლოკალური ჰიპერტენზის სიმსივნის სა-
წინააღმდეგო ეფექტს. ჰიპერთერმია არის მეთო-
დი, რომელიც გულისხმობს სიმსივნურ უჯრე-
დებზე ციტოსტატიკურ ზემოქმედებას უჯდებში
ტემპერატურის გაზრდით – ჩვენ შემთხვევაში
ტემპერატურული ველით გამოწვეული სითბური
გაძნელით.

საქართველოში ყოველწლიურად ავთვისებია-
ნი სიმსივნით დაავადებულთა რაოდენობა შეიძი
ათასს აღწევს. დაავადებულთა საერთო რაოდე-
ნობა ოცდათხუთმეტი ათასია.

ცნობილია, რომ ავთვისებიანი სიმსივნეები
შედგება ორგანიზმის საკუთარი უჯრედებისაგან, რომლებიც ნორმისაგან მხოლოდ იმით განსხვავ-
დება, რომ მათში მიმდინარეობს უკონტროლო
შეუზღდულავი გამრავლება და ზრდა. ამიტომ, ავთ-
ვისებიან სიმსივნეებში მეტაბოლური პროცესების
ინტენსიურობა და, შესაბამისად, ენერგეტიკული
მოთხოვნილებები უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეუ-
ლებრივ ქსოვილებში. ამ ფაქტორის გათვალის-
წინებით პერსპექტიულია ონკოლოგიურად დაავა-
დებულ და მის მოსაზღვრე ქსოვილებზე ისეთი
ზემოქმედების გამოყენება, რომელიც დროის ერთ
მონაკვეთში ამოწურავს გადაგვარებული უჯრედე-
ბის ენერგეტიკულ პოტენციალს, გამოიწვევს მათი
ცილების დენატურაციას (დაღუპვას), ამავე დროს

შენარჩუნებული იქნება ჯანმრთელი უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა [1-3].

ასეთი ბიოფიზიკური ზემოქმედება შეიძლება ადგილობრივი პიპერობებით (+42 - +44°C) იყოს.

ცნობილია კერამიკული მიკროსფეროები კიბოს რადიოთერაპიისთვის – Y_2O_3 – Al_2O_3 – SiO_2 მინის მიკროსფეროები

ჰიატმა და დეიმ [4] და ერბემ და დეიმ [5] 1987 წელს პირველად დაადასტურეს, რომ $17\text{Y}_2\text{O}_3$ – $19\text{Al}_2\text{O}_3$ – 64SiO_2 (მოლ %) 20–30 მკმ დიამეტრის მინის მიკროსფეროების გამოქვება შესაძლებელი იყო კიბოს *in situ* (ადგილის) დასხივებისთვის. იტრიუმ-89 (^{89}Y) ამ მინაში არარადიოაქტიური იზოტოპია, რომელიც ბუნებაში არსებობს 100% რაოდენობით, მაგრამ ნეიტრონული დასხივება ახდენს ^{89}Y -ის გააქტიურებას და წარმოქმნის მ-გამომსხივებელს ^{90}Y , რომლის ნახევარსიცოცხლე 64.1 სათთია. როდესაც ეს 20–30 მკმ დიამეტრის რადიოაქტიური მინის მიკროსფეროები შეჰყავთ ორგანოში (მაგ., დაავადებული დვიძლის უჯრედებში) ისინი ხვდება სიმსივნის წვრილ სისხლძარღვებში და ბლოკავს მისთვის საკვების მიწოდებას, გარდა ამისა იძლევა მოკლე მანძილზე მოქმედ მაღალიონი ზებულ β სხივებს. წსხივები არ მოქმედებს სხვა რომელიმე ქიმიურ ელემენტზე და აქვს დაახლოებით 2.5 მმ მოკლე შეღწევადობის დიაპაზონი ცოცხალ ქსოვილში და არ წარმოადგენს რადიაციულ საშიშროებას გარშემო ჯანმრთელი ქსოვილისთვის. ამ მიკროსფეროებს ახასიათებს მაღალი ქიმიური ხანგამდლები და ამდენად რადიოაქტიური ^{90}Y მიკროსფერო ძირითადად რჩება პაციენტის სხეულში მოთავსებისას და არ მოქმედებს მეზობელ ჯანმრთელ ქსოვილზე. ^{90}Y -ის რადიოაქტიურობა ნეიტრონით დასხივებისას [6] 21 დღეში უმნიშვნელო დონემდე მცირდება; ამიტომ მიკროსფეროები მალევე კარგავს აქტიურობას კიბოს მკურნალობის შემდეგ. ისინი უკვე გამოიყენება კლინიკურად დვიძლის კიბოს სამკურნალოდ კანადაში, აშშ-სა და ჩინეთში, ასევე კლინიკურ ცდებში დაავადებული თირკმლისა და ელექტოს სამკურნალოდ და ართრიტული სახსრების დასხივების სინოვექტომიაში [7-20].

კერამიკული მიკროსფეროების გამოყენება კიბოს პიპერობებისთვის. ფერომაგნიტური მინაკერამიკა

ამჟამად შემუშავებულია ლითოუმის ფერიტის (LiFe_5O_8) შემცველი მინაკერამიკა ჰემატიტის (Fe_2O_3) ბიოშეთავსებად მატრიცაში და $\text{SiO}_2-\text{P}_2\text{O}_5$

მინისებრი ფაზა [21-27], მაგნეტიტი (Fe_3O_4) ბ-ვოლასტონიტის ($\beta\text{-CaSiO}_3$) მატრიცაში და $\text{CaO}-\text{SiO}_2-\text{B}_2\text{O}_3-\text{P}_2\text{O}_5$ მინისებრი ფაზა [28-35], α - Fe^x [36], $\text{F}_2\text{O}_4 \text{B}_2\text{O}_3$ თავისუფალ $\text{CaO}-\text{SiO}_2-\text{P}_2\text{O}_5$ მინისებრ ფაზაში [37] და თუთია-რკინის ფერიტი $\text{CaO}-\text{SiO}_2$ მინისებრ ფაზაში [38], როგორც თერმომარცვალი კიბოს პიპერობებიაში. მაგ., მინაკერამიკა, რომელიც შეიცავს F_3O_4 -ს $\beta\text{-CaSiO}_3$ მატრიცაში და $\text{CaO}-\text{SiO}_2-\text{B}_2\text{O}_3-\text{P}_2\text{O}_5$ მინის ფაზას ეფექტურია [29-31] ეურდლის თემოს ტერმული გადანერგიით კიბოს უჯრედების დაშლისთვის, რომელიც ქინძისთავის ფორმით შეივანეს ტვინის არხში და მოათავსეს ცვლად მაგნიტურ ველში [38]. ასეთი მინაკერამიკული ქინძისთავი არ შეიძლება გამოვიყენოთ კლინიკურად, რადგან სიმსივნური უჯრედები შესაძლებელია გაფანტული იყოს ნორმალური უჯრედების ირგვლივ და სიმსივნეში მინაკერამიკის ქინძისთავის შეევანამ შესაძლოა გამოიწვიოს სიმსივნის მეტასტაზები. შესაძლებელია 20–30 მკმ დიამეტრის ფერომაგნიტური მიკროსფეროები გამოვიყენოთ კიბოს ადგილობრივად გახურებისთვის ფერომაგნიტური მასალების მიერ ჰისტერეზის დაკარგვით კიბოს მეტასტაზების გამოწვევების გარეშე; მიკროსფეროები შესაძლებელია შევიყვანოთ სიმსივნეში სისხლძარღვების საშუალებით [39] და შემდეგ მოვათავსოთ ცვლად მაგნიტურ ველში. ჯერჯერობით 20–30 მკმ დიამეტრის მიკროსფეროები არ შექმნილა და არ გამოუვლენია მაღალი სითბოს წარმოების უნარი.

მთელ მსოფლიოში ავთვისებიანი სიმსივნეებით განაპირობებული ავადობისა და მისგან გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი გამუდმებით იზრდება და კლების ტენდეცია არ არის. განხელებულია ნაადრევი დიაგნოსტიკა და ავადმყოფთა დიდი ნაწილი სტაციონარს გაფრენებული სიმსივნეებით (III–IV სტადია) მიმართავს, როდესაც ქირურგიული, სხივური და მედიკამენტური კომპონენტების გამოყენებით კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობა ესაჭიროებათ. იმატა იმ პაციენტთა რაოდენობამაც, რომლებიც ექიმონიკოლოგს მიმართავნ სიმსივნური პროცესის მოგვიანებითი კლინიკური ნიშნების მანიფესტაციითა და სხვადასხვა მეტაბოლური დარღვევებით.

ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავება ონკოლოგიის მნიშვნელოვანია ამოცანა. ექსპერიმენტული და კლინიკური კვლევებით დადასტურებული დადებითი ეფექტის მქონე სამკურნალო საშუალებისათვის მკურნალობის მეთოდის კლინიკურ პრაქ-

ტიკაში დანერგვა კი წინგადადგმული ნაბიჯია ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობის საკითხში.

2. ძირითადი ნაწილი

ჩვენ მიერ შემუშავებული პიპერთერმიული კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ონკოლოგიური ავალმყოფების მკურნალობის უახლოესი და შორეული შედეგების გაუმჯობესება სიმსივნერ წარმონაქმნზე მართვადი ლოკალური პიპერთერმიის გამოყენებით.

აღნიშნულის მისაღწევად დასახული იყო შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

1) ექსპერიმენტულ სიმსივნეებზე პიპერთერმიის სიმსივნის საწინააღმდეგო სამკურნალო ეფექტის შესწავლა;

2) ექსპერიმენტში პიპერთერმიის სიმსივნის-საწინააღმდეგო აღიუვანტური ეფექტის დაღგნა პოლიქიმიოთერაპიასთან კომბინაციაში.

პიპერთერმიის სხვადასხვა რეჟიმის შესწავლა მკურნალობის უშუალო და შორეულ შედეგებზე.

შეცნიერული სიახლე

ექსპერიმენტულ მასალაზე დაყრდნობით საქართველოში პირველად იქნა წარმოდგენილი მართვადი ლოკალური პიპერთერმიის სიმსივნის საწინააღმდეგო მონოთერაპიული სამკურნალო ეფექტი და ადიუვანტური მოქმედება სიმსივნეთა პოლიქიმიოთერაპიულ მკურნალობაში სწორი ნაწლავის და საშვილოსნოს ყელის დაავადებებისათვის.

კვლევის ობიექტი და ამოცანა

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა 2–3 თვის 18–25 გრამი მასის უჯიშო, არასახოვანი თეთრი თაგვები და მათი ავთვისებიანი სიმსივნური უჯრედები. კიბოს უჯრედები იღუპება ჩვეულებრივ დაახლოებით $42\text{--}44^{\circ}\text{C}$, რადგან უანგბადის მიწოდება სისხლძარღვებით არასაქმარისია, მაშინ როდესაც ნორმალური უჯრედები არ ზიანდება უფრო მაღალი ტემპერატურის დროსაც.

გარდა ამისა, სიმსივნე უფრო ადგილად ხურდება, ვიდრე ირგველივ მდებარე ნორმალური ქსოვილი, რადგან სისხლძარღვები და ნერვული სისტემები ნაკლებ განვითარებულია სიმსივნეში [1-3]. ექსპერიმენტი ჩატარდა ცხოველების თორმეტ ჯგუფზე. შედეგები ყველა ჯგუფისათვის თანაბრად დადებითია. შედეგები გამოქვეყნებულია იაპონიაში, აშშ, ევროპასა და საქართველოში. პრეზენტაციები ჩატარდა საერთაშორისო კონგრენციებსა და მსოფლიო კონგრესებზე [40-44]. ამ შედეგებსა და რამდენიმე წლის მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით გაჩნდა მოტივაცია, რათა შექმნილიყო კლინიკური აპარატურა ვოლუნტარი პაციენტებისათვის. ეს აპარატურა მართვადი ლოკალური პიპერთერმიის მეთოდით პროქტოლოგიური (სწორი ნაწლავი) და საშვილოსნოს ყელის კიბოს სამკურნალო შექმნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიონანოკერამიკისა და ნანოკომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრში.

სამუშაოს მიზანი

სამუშაოს მიზანია ჩვენ მიერ კონსტრუირებული სწორი ნაწლავისა და საშვილოსნოს ყელის დაავადებების სამკურნალო კლინიკური აპარატურის შექმნა მართვადი ლოკალური პიპერთერმიის მისაღებად და მისი მეშვეობით ტემპერატურული ველის მიზანმიმართული ტრანსპორტირება ცოცხალ ორგანიზმში სწორი ნაწლავისა და საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ.

სამუშაოს არსი მდგრმარეობს იმაში, რომ ჩვენ მიერ შექმნილი კლინიკური ხელსაწყოს (სურ. I) – ზონდის (პიპერთერმიული თავაკის) მეშვეობით ხდება ტემპერატურული ველის ტრანსპორტირება ვოლუნტარი პაციენტის სხეულში პიდორპიპერთერმიული მეთოდით – ამ თავაკის სიმსივნურ უბანში გარკვეული დროის განმავლობაში ჩადგმით, რომელიც განისაზღვრება ემპირიულად იმის მიხედვით თუ როგორ რეაგირებს პაციენტი მკურნალობაზე და როგორ ექვემდებარება დაავადება მკურნალობას. ზემოთ ქმულიდან გამომდინარე, ტემპერატურული ინტერვალი შეადგენს $42\text{--}44^{\circ}\text{C}$, ხოლო დროის ხანგრძლივობა – 20–40 წუთს.



სურ. 1. მართვადი ლოკალური პიპერტერმიის მეთოდით სწორი ნაწლავისა და საშვილოსნოს ყელის სიმსივნური დაავადებების სამკურნალო აპარატი. დამზადებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიონანოერამიკისა და ნანოერომპოზიტების მასალათმცოდნეობის ცენტრში (ხელმძღვანელი, პროფ. ზ. კოგბირიძე)


ძირითადი პარამეტრები

ელექტროკება	220 ვ 160 ვატი
გამაცხელებლის ელექტროკება	60 ვ 100 ვატი
ავტოს მოცულობა	0.5 ლიტრი
ტემპერატურის რეგულირების დიაპაზონი გამოხავალზე	40.5–47.0°C
ზონდში ხითხის ნაკადის ხიჩქარე	250 მლ/წთ

აპარატის დამზადებისას გამოყენებულია სამედიცინო დანიშნულების სილიკონის სადრენაჟო მილები, გამანაწილებლები და სხვა სამედიცინო აქსესუარები.

ტემპერატურის კონტროლი სამი სენსორით ხორციელდება. ორი თერმოსენსორი გამოიყენება პიდროსისტემის შესასვლელ-გამოსასვლელზე


სითხის ნაკადების ტემპერატურის გასაპონტროლებლად, რომლის შედეგები გამოისახება მართვის პანელზე – 3-თანრიგიან დისპლეიზე. მესამე სენსორი დამონტაჟებულია გამაცხელებელზე და მისი სიგნალი გამოყენებულია სისტემის ელექტრონული მართვის წრედში.



სურ. 2. ტემპერატურის სტაბილიზაციის ელექტრონული წრედის სქემა

გამაცხელებელი დამზადებულია მაღალი სისუფთავის ვერცხლის $4 \times 7 \times 220$ მმ მილისგან. მილის აქტიური არე დაფარულია თბოგამტარი ელექტროსაიზოლაციო ფენით, რომელზეც დახვეულია სპირალი. მილის დაბოლოებაზე დამონტაჟებულია ტემპერატურული სენსორი, რო-

მელიც აღრიცხავს გამაცხელებლიდან გამოსული სითხის ნაკადის ტემპერატურას. კარგვების თავიდან აცილების მიზნით გამაცხელებელი მოლიანად დაფარულია თერმოსაიზოლაციო დამცავი გარსით.




სურ. 3. პიდრავლიკური სისტემის ფუნქციონირების სქემა

პიდრავლიკური სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს სამი მუდმივი დენის დაბალი ძაბვის ელექტროტუმბო. ტუმბოების მართვის ელექტრონული ბლოკი ახორცილებს ერთ სარეზერვო და სამ მუშა რეჟიმს:

- მუშაობს PUMP1 ტუმბო, რაც განსაზღვრავს ავზში მოთავსებული სითხის ცირკულაციას გამაცხელებლის გავლით. პრაქტიკულად ეს რეჟიმი გამოიყენება აპარატის მოსამზადებლად, ავზში სითხის ტემპერატურა სტაბილიზდება მართვის პანელიდან განსაზღვრულ დონეზე (სურ. 3);

- მუშაობს PUMP2 (რევერსულ რეჟიმში) და PUMP3 ტუმბოები. პრაქტიულად ზონდიდან ამოტუმბება პარატის და სითხის ნარჩენები. რეჟიმი განსაზღვრულია გარსაცმიანი ზონდის სხეულში შევვანის და გამოყვანის პროცესების შესამსუბუქებლად;

- მუშაობს PUMP2 და PUMP3 ტუმბოები, ზონდში ცირკულირებს საჭირო ტემპერატურამდე გაცხელებული წყლის ნაკადი. ზონდიდან ამოტუმბული სითხე გამაცხელებლის გავლით ბრუნდება ავზში, მიმდინარეობს სამკურნალო არის გაცხელებაზე დაკარგული ტემპერატურის აღდგენა (სურ. 4).



სურ. 4 პიდრავლიკური სისტემის ფუნქციონირების სქემა
სამკურნალო რეჟიმში

პიდრავლიკური სისტემის მართვის სქემა უზრუნველყოფს ტუმბოების მუშაობას მართვის პანელიდან არჩეული რეჟიმის შესაბამისად.


პიდრავლიკური სისტემის მართვის სქემა განსაზღვრავს ტუმბოების ინტენსიურობას ზონდში საჭირო წნევის (მაქსიმალური 50 კპა) შესაქმნელად. ჭარბმა წნევამ შესაძლოა გამოიწვიოს სხეულის ქსოვილების დაზიანება. მართვის პანელიდან შესაძლებელია წნევის რეგულირება 10% ფარგლებში. დაავადებულ ქსოვილთან ზონდის შეხების ფართობთა ეფექტური თბოგადაცემის პროცესის მისაღებად დაცულია სათა-

ნადო სიჩქარის სითხის ნაკადი. არსებული სისტემის მართვის ელექტრონული სქემა, კლინიკური გამოცდის შედეგების მიხედვით, ახდენს არსებული ფიქსირებული პარამეტრების რეგულირებას ფართო დიაპაზონში.

პიდრავლიკური სისტემის გამოსასვლელზე შემავალი და გამომავალი ნაკადების შესაერთებლად ზონდის შესაბამის მიღებს აქვს გადამყვან-ჩამკეტები. ზონდთან მისაერთებლად გამოყენებულია 2x5 მმ (შემავალი) და 3x6 მმ (გამომავალი) სილიკონის სქელკედლიანი სადრენაჟო მიღები, პიდრავლიკური სისტემის აპარატის

შიგა შეერთებისთვის კი 4×8 მმ სილიკონის მოლი. მოწყობილობაში სილიკონის სქელკედლიანი მიღების გამოყენებამ, სილიკონის ოქრმოსაიზოლაციო თვისებების გათვალისწინებით,

განაპირობა გარემოს ტემპერატურის უმნიშვნელო გავლენა ცირკულირებადი სითხის ტემპერატურაზე. რეგულირება ხდება ფართო დიაპაზონში.



სურ. 5. ჰიპერთერმიული მეთოდით სწორი ნაწლავის და საშეილოსნოს ყელის სიმსივნეური დაავადებების სამკურნალო ზონდი (სილიკონის მიღები, რომელზეც წამოცმულია თხელკედლიანი გარსაცმი)

დასკვნა

ზონდზე წამოცმული გარსაცმი გამორიცხავს ცირკულირებადი სითხის შეხებას სამკურნალო ზედაპირთან და უზრუნველყოფს ტემპერატურის ინტენსიურ გადაცემას მიმდებარე ქსოვილებთან და შედეგად პეტიურ პიდროპიკერთერმიულ მკურნალობას $42\text{--}44^{\circ}\text{C}$ ინტენსიურ გადაცმით.

მადლიერება. ავტორი მადლიერებას გამოხატავს თბილისის კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის მოქმედობების, პროფესიონალურების, ბაზონების – გურამ მეთოქება შეიძლის და პაატა ხორავას მიმართ, საქმიან და ძალად პროფესიულ დონეზე გაწევდი თანაცვლობის, კონსულტაციებისა და რეკვესტისათვის, მართვადი ლოკალური ჰიპერთერმიის მეთოდით კლინიკური აპარატის კონსტრუქტორების პროცესში. ასევე გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული კლინიკის მაღალკვალიფიციური პერსონალის ფართო წრის რჩევები და კონსულტაციები.

ლიტერატურა

- R. Cavaliere, E. C. Ciocatto, B. C. Giovanella, C. Heidelberger, R. O. Johnson, M. Margottini, B. Mondovi, G. Moricca, and A. Rossi-Fanelli, "Selective Heat Sensitivity of Cancer Cells. Biochemical and Clinical Studies," *Cancer*, 20 1351–1381 (1967).
- K. Overgaard and J. Overgaard, "Investigation on the Possibility of a Thermic Tumour Therapy. II. Action of Combined Heat-Roentgen Treatment on a Transplanted Mouse Mammary Carcinoma," *Eur. J. Cancer*, 8 573–575 (1972).
- J. Overgaard, "Effect of Hyperthermia on Malignant Cells In Vivo. A Review and a Hypothesis," *Cancer*, 39 2637–2646 (1977).
- M. J. Hyatt and D. E. Day, "Glass Properties of Yttria-Alumina-Silica System," *J. Am. Ceram. Soc.*, 70 283–287 (1987).
- E. M. Erbe and D. E. Day, "Chemical Durability of Y₂O₃-Al₂O₃-SiO₂ Glasses for the In Vivo Delivery of Beta Radiation," *J. Biomed. Mater. Res.*, 27 1301–1308 (1993).
- D. E. Day and T. E. Day, "Radiotherapy Glasses," An Introduction to Bioceramics. eds. L. L. Hench and J. Wilson. World Science, Singapore, 305–317, 1993.
- G. J. Ehrhardt and D. E. Day, "Therapeutic Use of 90Y Microspheres," *J. Nucl. Med.*, 14 233–242 (1987).
- R. V. Mantravadi, D. G. Spigos, W. S. Tan, and E. L. Felix, "Intraarterial Yttrium 90 in the Treatment of Hepatic Malignancy," *Radiology*, 142 783–786 (1982).
- M. J. Herba, F. F. Illescas, M. P. Thirlwell, G. J. Boos, L. Rosenthal, M. Atri, and P. M. Bret, "Hepatic Malignancies: Improved Treatment with Intraarterial Y-90," *Radiology*, 169 311–314 (1988).
- I. Wollner, C. Knutsen, P. Smith, D. Prieskorn, C. Chrisp, J. Andrews, J. Juni, S. Warber, J. Klevering, J. Crudup, and W. Ensminger, "Effects of Hepatic Arterial Yttrium 90 Glass Microspheres in Dogs," *Cancer*, 61 1336–1344 (1988).
- S. Houle, T. K. Yip, F. A. Shepherd, L. E. Rotstein, K. W. Sniderman, E. Theis, R. H. Cawthorn and K. Richmond-Cox, "Hepatocellular Carcinoma: Pilot Trial of Treatment with Y-90 Microspheres," *Radiology*, 172 857–860 (1989).
- J. H. Anderson, J. A. Goldberg, R. G. Bessent, D. J. Kerr, J. H. McKillop, I. Stewart, T. G. Cooke, and C. S. McArdle, "Glass Yttrium-90 Microspheres for Patients with Colorectal Liver Metastases," *Radiol. Oncol.*, 25 137–139 (1992).
- M. A. Burton, B. N. Gray, C. Jones, and A. Coletti, "Intraoperative Dosimetry of 90Y in Liver Tissue," *J. Nucl. Med.*, 16 495–498 (1989).
- F.A. Shepherd, L.E. Rotstein, S. Houle, T.C. Yip, K. Paul, and K.W. Sniderman, "A Phase I Dose Escalation Trial of Yttrium-90 Microspheres in the Treatment of

- Primary Hepatocellular Carcinoma," *Cancer*, 70 2250–2254 (1992).
15. Z. P. Yan, G. Lin, H. Y. Zhao, and Y. H. Dong, "An Experimental Study and Clinical Pilot Trials on Yttrium-90 Glass Microspheres Through the Hepatic Artery for Treatment of Primary Liver Cancer," *Cancer*, 72 3210–3215 (1993).
 16. Z. P. Yan, G. Lin, H. Y. Zhao, and Y. H. Dong, "Yttrium-90 Glass Microspheres Injected via the Portal Vein," *Acta Radiol.*, 34 395–398 (1993).
 17. J. C. Andrews, S. C. Walker, R. J. Ackermann, L. A. Cotton, W. D. Ensminger, and B. Shapiro, "Hepatic Radioembolization with Yttrium-90 Containing Glass Microspheres: Preliminary Results and Clinical Follow-Up," *J. Nucl. Med.*, 35 1637–1644 (1994).
 18. J. H. Tian, B. X. Xu, J. M. Zhang, B. W. Dong, P. Liang, and X. D. Wang, "Ultrasound-Guided Internal Radiotherapy Using Yttrium-90-Glass Microspheres for Liver Malignancies," *J. Nucl. Med.*, 37 958–963 (1996).
 19. X. Cao, N. He, J. Sun, J. Tan, C. Zhang, J. Yang, T. Lu, and J. Li, "Hepatic Radioembolization with Yttrium-90 Glass Microspheres for Treatment of Primary Liver Cancer," *Chin. Med. J.*, 112 430–432 (1999).
 20. S. D. Chen, J. F. Hsieh, S. C. Tsai, W. Y. Lin, K. Y. Cheng, and S. J. Wang, "Intra-Tumoural Injection of 90Y Microspheres into an Animal Model of Hepatoma," *Nucl. Med. Commun.*, 22 121–125 (2001).
 21. M. Kawashita, F. Miyaji, T. Kokubo, G. H. Takaoka, I. Yamada, Y. Suzuki, and K. Kajiyama, "Phosphorus-Implanted Glass for Radiotherapy: Effect of Implantation Energy," *J. Am. Ceram. Soc.*, 82 683–688 (1999).
 22. M. Kawashita, R. Shineha, H.-M. Kim, T. Kokubo, Y. Inoue, N. Araki, Y. Nagata, M. Hiraoka, and Y. Sawada, "Preparation of Ceramic Microspheres for In Situ Radiotherapy of Deep-Seated Cancer," *Biomaterials*, 24 2955–2963 (2003).
 23. M. Hiraoka and G. M. Hahn, "Comparison Between Tumor pH and Cell Sensitivity to Heat in RIF-1 Tumors," *Cancer Res.*, 49 3734–3736 (1989).
 24. N. Araki, Y. Nagata, M. Hiraoka, M. Kawashita, T. Kokubo, Y. Inoue, and Y. Sawada, "Treatment of VX2 Tumors in Rabbit Liver by Radioactive Y2O3 Microspheres," *Transactions of the 7th World Biomaterials Congress*. Edited by The Australian Society for Biomaterials Inc., Sydney, Australia, 1827, 2004.
 25. N.F. Borrelli, A.A. Luderer, J.N. Panzarino, H.L. Rittler, "Magnetic Glass-Ceramics for Tumor-Therapy by Hyperthermia," *Am. Ceram. Soc. Bull.*, 61 819–819 (1982).
 26. A.A. Luderer, N.F. Borrelli, J.N. Panzarino, G.R. Mansfield, D.M. Hess, J.L. Brown, E. H. Barnett, and E.W. Hahn, "Glass-Ceramic-Mediated, Magnetic-Field-Induced Localized Hyperthermia—Response of a Murine Mammary-Carcinoma," *Radiat. Res.*, 94 190–198 (1983).
 27. N. F. Borrelli, A. A. Luderer, and J. N. Panzarino, "Hysteresis Heating for the Treatment of Tumors," *Phys. Med. Biol.*, 29 487–494 (1984).
 28. Y. Ebisawa, T. Kokubo, K. Ohura, and T. Yamamuro, "Bioactivity of CaO — SiO₂-Based Glasses—In Vitro Evaluation," *J. Mater. Sci.: Mater. Med.*, 1 239–244 (1990).
 29. Y. Ebisawa, Y. Sugimoto, T. Hayashi, T. Kokubo, K. Ohura, and T. Yamamuro, "Crystallization of (FeO, Fe₂O₃)—CaO—SiO₂ Glasses and Magnetic 182 International Journal of Applied Ceramic Technology—Kawashita Vol. 2, No. 3, 2005 Properties of their Crystallized Products," *J. Ceram. Soc. Jpn.*, 99 7–13 (1991).
 30. K. Ohura, M. Ikenaga, T. Nakamura, T. Yamamuro, Y. Ebisawa, T. Kokubo, Y. Kotoura, and M. Oka, "A Heat-Generating Bioactive Glass-Ceramic for Hyperthermia," *J. Appl. Biomater.*, 2 153–159 (1991).
 31. T. Kokubo, Y. Ebisawa, Y. Sugimoto, M. Kiyama, K. Ohura, T. Yamamuro, M. Hiraoka, and M. Abe, "Preparation of Bioactive and Ferrimagnetic Glass-Ceramic for Hyperthermia," *Bioceramics*, Vol. 3. eds. J. E. Hulbert and S. F. Hulbert. Rose-Hulman Institute of Technology, Indiana, 213–223, 1992.
 32. Y. Ebisawa, T. Kokubo, K. Ohura, and T. Yamamuro, "Bioactivity of Fe₂O₃- Containing CaO—SiO₂ Glasses—In-Vitro Evaluation," *J. Mater. Sci.: Mater. Med.*, 4 225–232 (1993).
 33. M. Ikenaga, K. Ohura, T. Yamamuro, Y. Kotoura, M. Oka, and T. J. Kokubo, *Orthop. Res.*, 11 849 (1993).
 34. Y. Ebisawa, F. Miyaji, T. Kokubo, K. Ohura, and T. Nakamura, "Surface Reaction of Bioactive and Ferrimagnetic Glass-Ceramics in the System FeO—Fe₂O₃—CaO—SiO₂," *J. Ceram. Soc. Jpn.*, 105 947–951 (1997).
 35. Y. Ebisawa, F. Miyaji, T. Kokubo, K. Ohura, and T. Nakamura, "Bioactivity of Ferrimagnetic Glass-Ceramics in the System FeO—Fe₂O₃—CaO—SiO₂," *Biomaterials*, 18 1277–1284 (1997).
 36. H. Konaka, F. Miyaji, and T. Kokubo, "Preparation and Magnetic Properties of Glass-Ceramics Containing a-Fe for Hyperthermia," *J. Ceram. Soc. Jpn.*, 105 833–836 (1997).
 37. M. Kawashita, H. Takaoka, T. Kokubo, T. Yao, S. Hamada, and T. Shinjo, "Preparation of Magnetite-Containing Glass-Ceramics in Controlled Atmosphere for Hyperthermia of Cancer," *J. Ceram. Soc. Jpn.*, 109 39–44 (2001).
 38. M. Kawashita, Y. Iwahashi, T. Kokubo, T. Yao, S. Hamada, and T. Shinjo, "Preparation of Glass-Ceramics Containing Ferrimagnetic Zinc-Iron Ferrite for the Hyperthermal Treatment of Cancer," *J. Ceram. Soc. Jpn.*, 112 373–379 (2004).
 39. Masakazu Kawashita, Ceramic Microspheres for Biomedical Applications *Int. J. Appl. Ceram. Technol.*, 2 [3] 173–183 (2005).
 40. Z. Kovziridze, G. Donadze, G. Mamniashvili, A. Akhalatsi, D. Daraselia, D. Japharidze, O. Romelashvili, A.

- Shengelaia, C. Gavasheli, J.G. Heinrich. THE RECEIVING AND STUDY OF HEMATITE NANOPARTICLES FOR HYPERTHERMIA, 1st International Conference for Students and Young Scientists on Materials Processing Science, Tbilisi, Georgia 10-13 October 2010, Journal of Georgian Ceramists Association "Ceramics" N2(23), 2010,1(24), 2011, Tbilisi, p.37-46.
41. Z. Kovziridze, J. Heinrich, R. Goerke, G. Mamniashvili, Z. Chachkhiani, N. Mitskevich, G. Donadze. Production of superparamagnetic nanospheres for hyperthermic therapy of surface (skin) cancer diseases. 3rd International congress on Ceramics, November 14-18, 2010, Osaka, Japan. IOP Conference Series: Materials Science and Engineering, 2010.
42. Z. Kovziridze, J. Heinrich, R. Goerke, G. Mamniashvili, A. Akhalkatsi, Z. Chachkhiani, N. Mitskevich, G. Do-
nadze. PRODUCTION OF BIONANOCERAMIC SUPER-PARAMAGNETICS FOR CREATION OF CONTROLLED LOCAL HYPERTHERMIA AND THEIR USE, AS THERAPEUTIC AGENTS, FOR PURPOSEFUL TRANSPORTATION IN LIVING ORGANISMS IN SURFACE (SKIN) CANCER TREATMENT. Journal of Georgian Ceramists Association "Ceramics" N 1(22), Tbilisi, 2010, p.43-51.
43. Z. Kovziridze, P. Khorava, N. Mitskevich. Controlled Local Hyperthermia and Magnetic Hyperthermia of Surface (Skin) Cancer Diseases. Journal of Cancer Therapy, 2013. 4. 1262-1271.
44. ვ. კოვზირიძე, გ. მენტეშაშვილი, პ. ხორავა, ბ. ბლუაშვილი. მართვადი დოკალური ჰიპერთერმია სიმსივნეების დაავადებების სამკურნალოდ. თბილისი, ქურნალი „გერამიკა”, 1(31), 2014. გვ. 16-28.

УДК 616-006:615.84

APPARATUS FOR TREATMENT OF PROCTOLOGIC (RECTUM) AND CERVIX UTERUS CANCER DISEASES BY THE METHOD OF LOCAL CONTROLLED HYPERTHERMIA

Z. Kovziridze

Resume: **Goal** – Mono-therapeutic effect of hyperthermia was investigated against proctologic and cervix uterus cancer diseases.

Method - To develop the local controlled hyperthermia method, on the base of experimental material the apparatus "LEZI" was used, which was created at the Bionanoceramic and Nanocomposite Materials Science Center of Georgian Technical University.

Results - In all experimental animals (Albino rats, 3 months) suspension of cancer disease and intra tumor necrosis was fixed. (Georgian National Center of Intellectual Property, "Sakpatenti". Certificate # 5054 confirming deposition of the material "Local controlled hyperthermia and magnetic hyperthermia for therapy of cancer diseases")

Conclusion - As a result, it was shown and proved that after 7 sessions, tumor was ulcerated, which refers to positive effect of the experiment (Conclusion of Laboratory of Pathological Anatomy "PathGeo". Analysis #3119-12 and histo-pathological analysis # 15272. Date of issuance of diagnosis: 14.01.2014. Tbilisi, Georgia)..

Key words: local controlled hyperthermia; necrosis; ulceration; metastasis.

УДК 616-006:615.84

АППАРАТ ДЛЯ ЛЕЧЕНИЯ РАКА ПРЯМОЙ КИШКИ И ШЕЙКИ МАТКИ МЕТОДОМ УПРАВЛЯЕМОЙ ЛОКАЛЬНОЙ ГИПЕРТЕРМИИ

Ковзирдзе З.Д.

Резюме: Изучен монотерапевтический эффект лечения рака прямой кишки и шейки матки. Для развития метода управляемой локальной гипертермии, опираясь на экспериментальный материал, был использован прибор «Лези», который создан в Центре материаловедения бионанокерамики и нанокомпозитов Грузинского технического университета.

На основе эксперимента у всех животных (трехмесячных мышей-альбиносов) была зафиксирована приостановка рака и развитие интрапатомального некроза. Было установлено, что через 7-10 сеансов опухоль изъявила, что говорит о положительном результате эксперимента.

Ключевые слова: управляемая локальная гипертермия; некроз; изъязвление; метастазы.

შაპ 666.946.6

**სქურის აღმილებარეობის დოკუმენტის შესრულება მაღალცემულგამძლე
პროცესითების წარმოებისათვის**

ზ. კოვარიძე, ნ. ნიუარაძე, მ. ბალახაშვილი, გ. ტაბატაძე, მ. მშვილდაძე

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: kowsiri@gtu.ge

რეზიუმე: ჩატარებულია სქურის საბადოს დოლომიტის სინჯების დეტალური კვლევა ქიმიური, თერმოგრაფიული, მიკროსტრუქტურული და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მეშვეობით.

დადგენილია, რომ სქურის საბადოს დოლომიტი მაღალხარისხის ნედლეულია მაღალცეცხლგამძლე დოლომიტ-სერანტინიტური კლინკერის მისაღებად, ხასიათდება ერთგვაროვნებით, მიეკუთვნება I კლასის დოლომიტებს და კირმაგნეზური მოდულის მნიშვნელობა, თეორიულთან (1,39) შედარებით, ბევრად მაღალი აქვს (1,62).

საკვანძო სიტყვები: დოლომიტი; სქურის საბადო; მაღალცეცხლგამძლე კლინკერი; თბურიაგრეგატების ამონაგი.

1. შესავალი

მეტალურგიული თბური აგრეგატებისა და ცემენტის გამოსაწვავი მბრუნავი დუმლების შეცხობის ზონის ამონაგისათვის გამოყენებული მაგნეზიტური ცეცხლგამძლეების შესაცვლელად, მათი ნედლეულის (მაგნეზიტი) დეფიციტის გამო, მთელ მსოფლიოში დაიწყეს მუშაობა ფუძე-შედეგენილობის ნედლეულის – დოლომიტის ბაზაზე მაღალცეცხლგამძლე ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიის დასამუშავებლად [1-1].

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, სადაც მაგნეზიტური ნედლეული არ მოიპოვება, ხოლო დოლომიტების სამი საბადოა: აბანოს, სქურის და მუხურის. საჭირო ნაკეთობები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოაქვთ და ძირიად დირექტულია.

ამ პრობლემისადმი ჩვენი მიღორმა შემდეგია: ადგილობრივი ნედლეულის დოლომიტისა და ბუნებრივი ჰიდროსილიკატის – სერპენტინიტის გამოყენებით მაღალცეცხლგამძლე კლინკერის მიღება და მის ბაზაზე ნაკეთობების ტექნოლოგიის დამუშავება [12-13].

ჩავატარეთ სამიერ საბადოს დოლომიტის შედარებითი კვლევა და დავაღინეთ მათი იდენტურობა [12]. რადგან აბანოს საბადოს დოლომიტის (ქარელის რაიონი) ექსპლუატაცია მიმდინარეობს 1961 წლიდან და მისი მარაგი მიღვა-

დია, ყურადღება შევაჩერეთ სქურის საბადოს დოლომიტზე. საბადო დაძიებულია და ექსპლუატაცია დაწყებულია.

სქურის დოლომიტის საბადო სამეცნიელო-ზემო სვანეთის რეგიონშია, წალენჯიხის რაიონში, სოფ. ჯგალის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1-1,6 კმ-ზე. მისი მარაგი B₂-490176 ათასი ტონაა.

2. ძირითადი ნაწილი

წარმოდგენილი სამუშაოს მიზანია სქურის დოლომიტის დეტალური შესწავლა საბადოს ერთგვაროვნების, მისი ხარისხის შეფასების და ვარგისობის დასადგენად, რადგან გამოყენებული ნედლეულის ხარისხი, დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებთან ერთად, განსაზღვრავს მიღებული ნაკეთობების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებების.

მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება დოლომიტებს, ითვალისწინებს ძირითადი ოქსიდების (CaO+MgO), მინარევების შემცველობას, აგრეთვე გარკვეული სიდიდის მოჩვენებითი სიმკვრივის უზრუნველყოფას გარკვეულ ტემპერატურაზე მათი გამოწვის შემდეგ ($>3,0 \text{ g/l}^3$). ამიტომ დოლომიტების შეფასებისას აუცილებელია მისი შეცხობის უნარის განსაზღვრა, რომელიც დამოკიდებულია საწყისი ნედლეულის მრავალ ფაქტორზე. რომელიმეს გამოყოფა შეუძლებელია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქს ქიმიურ შედეგენილობას, მინარევების შემცველობას და CaO/MgO ფართობას. მნიშვნელოვან როლს ასრულებს დოლომიტის მიკროსტრუქტურა.

საბადოდან ჩამოტანილ იქნა ოთხი სინჯი, რომელიც აღებულია სხვადასხვა აღგილიდან და სიღრმიდან.

გარეგნულად ოთხივე სინჯი წარმოდგენილია ნატებების სახით, და მოყვითალო-ნაცრისფერი შეფერილობიდან ვარდისფრამდე, მკვრივი, მაგარი, ერთგვაროვანი ქანის სახით. ადგილებში შეიძნება თეთრი ფერის ჩანართები, რომელიც კალციტის არსებობას მიუთითებს.

საკვლევი ოთხივე სინჯის ქიმიური ანალიზის შედეგები და კირ-მაგნეზიტური მოდულის CaO/MgO მაჩვენებლები წარმოდგენილია 1-ელცერილში.

სქურის დოლომიტის ქიმიური ანალიზი

სქურის დოლომიტი	ოქსიდების შემცველობა, მას. %.										
	ნინჯის №	Fe ₂ O ₃	Al ₂ O ₃	MgO	CaO	SO ₃	MnO	TiO ₂	R ₂ O	ხ.დ.	CaO/MgO-ს ფარდობა
1	0,08	2,04	19,93	32,25	0,14	0,02	0,03	0,23	45,28	1,62	
2	0,10	1,01	20,56	33,74	0,121	0,04	0,009	0,23	44,29	1,64	
3	0,09	1,14	20,48	32,79	0,14	0,04	0,01	0,30	45,00	1,60	
4	0,10	1,18	19,99	32,21	0,15	0,09	0,01	0,28	46,00	1,61	

როგორც 1-ელი ცხრილიდან ჩანს, დოლომიტის შემაგენელი ძირითადი ოქსიდებია CaO და MgO, რომელიც ოთხივე სინჯის შედგენილობაში თითქმის ერთნაირია, შეიცავს მცირე რაოდენობის R₂O₃-სა და R₂O-ს, ხოლო SiO₂ არც ერთში არ არის.

გოსტი 10375-85-ის მიხედვით, ნედლი დოლომიტი ქიმიური შედგენილობის მიხედვით ორი კლასისა: MgO -ს შემცველობით არანაკლები 19% – I კლასი და არანაკლები 17% – II კლასი [14].

1-ელი ცხრილის მონაცემებით, ოთხივე სინჯი მიეკუთვნება I კლასის დოლომიტებს.

კირ-მაგნეზიური მოდული, რომელიც გვიჩვენებს MgO-სა CaO-ს ფარდობას (CaO/MgO), ოთხივე სინჯის (ცხრილი 1) მნიშვნელობა ბევრად აღემატება მის თეორიულ მნიშვნელობას (1,39).

ოთხივე სინჯის დოლომიტის მიკროსტრუქტული კვლევის შედეგიდან ჩანს, რომ ოთხივე ფორმიანია. ფორები ერთმანეთისაგან იზოლირებულია, აქვს არასწორი ფორმა და ზომები, 0,05–0,2 მმ.


ყველა ნიმუშში ცალკეული წვრილი მარცვლების სახით შეიძინება კალციტის არსებობა, ოდნავ მეტი რაოდენობით სინჯი №3-ში.

სინჯი №1 წვრილმარცვლოვანია, არასწორი რომბული კრისტალებით, რომელთა ზომები მერყეობს 0,01–0,03 მმ ზღვრებში. მარცვლები მაკრივადაა ერთმანეთთან მიკრული.

№2 მსხვილმარცვლოვანია, უმეტესი მარცვლების ზომები 0,2–1 მმ-ია, ცალკეულ შემთხვევაში 1,5–2მმ.


№3 სინჯის დოლომიტის სტრუქტურა თითქმის №1-ის ანალოგიურია, წვრილმარცვლოვანია (0,1–0,25მმ), კრისტალების ზომებით 0,1–0,25 მმ. კრისტალებით, იმ განსხვავებით, რომ ოდნავ მეტად შეინიშნება კალციტის არსებობა.

№4 სინჯი №2-ის ანალოგიურია, მსხვილკრისტალურია, კრისტალების ზომებით 0,5–1,1 მმ. 1-ელ ნახ-ზე წარმოდგენილია №1 და №2 სინჯების დოლომიტის მიკროსტრუქტურა, რომორც უფრო მახასიათებელი ნიმუშებისა.



ნახ. 1. სქურის საბადოს დოლომიტის მიკროსტრუქტურა,
ა) სინჯი 1, ბ) სინჯი 2

დოლომიტის №1 და №2 სინჯების დიფერენციალურ-თერმული ანალიზი ჩატარდა დერივატოგრაფზე G-1500 1000°C-მდე თერმოგრამები წარმოდგენილია მე-2 ნახ-ზე.



ნახ. 2. სქერის საბადოს დოლომიტის №1 და №2 სინჯების დერივატოგრამები

ორივე სინჯის დერივატოგრამები ერთი ტიპისაა, რომლებზეც გამოკვეთილია დოლომიტებისათვის ორი ინტენსიური ენდოთერმული ეფექტი – №1 სინჯის თერმოგრამაზე 810 და 870°C-ზე, №2 სინჯის თერმოგრამაზე ეს ტემპერატურები უმნიშვნელოდ დაბალია და 800–840°C-ს შეადგენს, რაც უქვედღად გამოწვეულია იმით, რომ №1-ის შემთხვევაში ტემპერატურის აწევის სიჩქარე იყო 10°C/წთ, ხოლო №2-ის – 5°C/წთ.


ლიტერატურიდან [15] ცნობილია, რომ, რაც ნელია გახურების სიჩქარე, მით დაბალია დაშლის რეაქციის მაქსიმუმები, დაბალია დისოციაციის ხარისხი.


თერმოგრამის განხილვიდან ჩანს, რომ დოლომიტან, $\text{CaMg}(\text{CO}_3)_2$ ერთად, რომლის დის-

ოციაცია ხდება 800°C, სინჯი №2 შეიცავს თავისუფალ MgCO_3 -ს მცირე რაოდენობით, რომლის ენდოთერმული ერთობენ თერმოგრამაზე უმნიშვნელოა, ხოლო მეორეზე შედარებით დიდი და დაფიქსირებულია 580°C-ზე, 840°C-ზე – CaCO_3 -ის და აგრეთვე კალციტის, რომელსაც შეიცავს მცირე რაოდენობით. მასის დანაკარგი ორივე სინჯისათვის თითქმის ერთნაირია და შესაბამისად 40,5 და 41,3%-ს შეადგენს.

ორივეს მასის ჯამური დანაკარგი, თერმოგრამის მიხედვით, სუფთა დოლომიტებისათვის თეორიულ მნიშვნელობაზე (47,8) ნაკლებია, რომელიც გამოწვეულია მინარევების არსებობით.

ორივე სინჯის რენტგენოგრამა წარმოდგენილია მე-3 ნახაზზე.






ნახ. 3. სქურის საბადოს დოლომიტის №1 და №2-ის რენტგენგრამები

ორივე რენტგენოგრამაზე დაფიქსირებულია მათი შემაღებელი ძირითადი მინერალის – $\text{CaMg}(\text{CO}_3)_2$ დიფრაქციული მაქსიმუმები: 3,71; 2,88; 2,66; 2,53; 2, 398; 2,19; 2,062; 2,014; 1,803; 1,79, რომელთა ინტენსიურობა ორივე სინჯისათვის თითქმის ერთნაირია. ასევე აღინიშნება კალციტის შემცველობა მცირე რაოდენობით, დიფრაქციული მაქსიმუმები: 3,03; 1,95, რაც ადასტურებს მიკროსკოპული კვლევის შედეგებს.

შეცხობის უნარის გასარკვევად შემოტანილი დოლომიტი დაგამსხვრიეთ ყბებიან მსხვერევანაში, დაგვქვით ბურთულებიან წისქვილში $<0,06$ მმ-ზე მარცვლების ზომით, დაგანესტიანეთ მაგნიუმის სულფატის 25%-იანი სსნარით ($\rho=1,25\text{ g/cm}^3$) და დაგაყალიბეთ 40 მმ სიმაღლის და 30 მმ დიამეტრის ნიმუშები. გაშრობის შემდეგ გამოვწვით სილიტის ღუმელში 1500°C ტემპერატურაზე.



ნახ. 4. გამომწვარი დოლომიტის
მიკროსტრუქტურა, $\times 500$

გამომწვარი დოლომიტის ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მაჩვენებლები მოცემულია მე-2 ცხრილში.

**დოლომიტის ფიზიკურ-ტექნიკური
თვისებები**

სინაზის №	მოწვენებითი სიმკვრივე, $\rho \text{ г/см}^3$	წყალშთანთქმა w, %	ლია ფორიანობა, $\Pi, \%$	სიმკვრივე, $\rho, \text{ г/см}^3$	სიმტკიცის ზღვარი კუმულისას, მპა
1	2,85	0,82	1,42	2,92	105
2	2,86	0,78	1,91	2,96	115

გამომწვარი ნიმუშის მიკროსკოპული შემოწმებით აღმოჩნდა, რომ შედგება მხოლოდ CaO და MgO-საგან, მკვრივია, წვრილებისტალური (ნახ. 4). კალციუმისა და მაგნიუმის ოქსიდების უმეტესობის კრისტალების ზომებია 0,003–0,01 მმ. დაახლოებით ასეთივე ზომებისაა მასში არსებული ფორები. მინარევი მინერალების რაოდენობა 2,5%-მდეა. როგორც მე-2 ცხრილის მონაცემებითან ჩანს, სიმკვრივე ნაკლებია 3 გ/სმ³-ზე, რაც მიანიშნებს, რომ არცოუ საკმარისია 1500°C სქურის საბადოს დოლომიტის შესაცხობად.

3. დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია სქურის საბადოს დოლომიტის ერთგვაროვნება, მაღალი ხარისხი და ვარგისობა მისი ცეცხლგამძლე მასალების წარმოებაში გამოყენების მიზნით.

ლიტერატურა

- Hutnik (CSSR), 1987, T.37, # 11, S. 425-431.
- Sprechsaal, 1987, Bd. 120, #3, S. 170-176.
- Tetsu-to-Hagane. J.iron and Steel. 1987.73. #10.p. 1273-1280.
- Андиевских Л.И., Бочаров А.Д., Копителов В.Н., Фролов О.И., Сакк В.И., Огнеупоры, М., 1991, №3, с.13-16.
- А.С. 147944 СССР, Симонов К.В., Гапонов Я.В., Чуклай А.М. и др. Открытия, Изобретения, 1989, №18, с.59.
- Bongers U.V., Stradmann Y. J., Cem. hormigon, 2000, 71, # 806.
- Новицкая И.Ф., Бацевичус О.Г., Власенко Ж.Н., Белов А.Е., Материалы VIII Международного научн.

практ. семинара (Минск, 15-16 ноября 2001г.) Минск: Стринко, 2001г., с.109-116.

8. Огнеупор на основе стабилизированного доломита, <http://www.azhitecture.ru//construct/ 1131581/>, 2011.
9. Гребенюк А.А. Высокоогнеупорный устойчивый доломитовый клинкер и изделия из него. - Сборник работ НИИ огнеупоров и кислотоупоров, М., 2000 г., с. 51-60.
10. Кутателадзе К.С., Зедгинидзе Е.Н. Бзыбский доломит сырье для производства доломитового кирпича // Сообщения АН ГССР, 1956, т.17, № 2.
11. Патент РБ на изобретение № 6910 “Доломитовый огнеупор”, приоритет от 27.17.2001 г.
12. ზ. კოვზირიძე, ბ. ნიუარაძე, მ. ბალახაშვილი. დოლომიტისა და სერაპეტინიტის ახალი საბადოების პაზარზე მაღალცეცხლგამძლე კლინკერის მიღება // საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა” 2(28),2012, გვ. 8-13.
13. ზ. კოვზირიძე, ბ. ნიუარაძე, მ. ბალახაშვილი, მ. მშვილდაძე. საქართველოს დოლომიტები და სერაპეტინიტები ცეცხლგამძლე მასალების წარმოებისათვის // საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის ჟურნალი “კერამიკა” 2 (30), 2013, გვ. 10-14.
14. Волженский А.В., Буров Ю.С., Колокольников В.С. Минеральные вяжущие вещества. Издательство литературы по строительству, 1966. - 402. с.
15. თ. მაჩალაძე, მ. სამხარაძე, ბ. ჯანიძე. მინეტრალ დოლომიტის დისოციაციის თერმოგრავიმეტრიული კვლევა // საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქონის სერია, 2015, ტ. 41, №1-2.

UDC 666.946.6

STUDY OF SKURI DEPOSIT DOLOMITE FOR PRODUCTION OF HIGH REFRACTORY COMPOSITES

Z. Kovziridze, N. Nizharadze, M. Balakhashvili, G. Tabatadze, M. Mshvildadze

Resume: Detailed study of Skuri deposit dolomite samples was performed by the use of chemical, thermographic, microstructure and X-ray diffraction analysis methods.

It was proved that Skuri deposit dolomite is a high grade raw material for obtaining high refractory dolomite-serpentine clinker. It is characterized by homogeneousness, belongs to the first class dolomites and its lime-magnesia module index (1.63) is much higher than the theoretical one (1.39).

Key words: dolomite; Skuri deposit; high refractory clinker; bedding for thermal aggregates.

УДК 666.946.6

ИЗУЧЕНИЕ ДОЛОМИТОВ СКУРСКОГО МЕСТОРОЖДЕНИЯ ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ ВЫСОКООГНЕУПОРНЫХ КОМПОЗИТОВ

Ковзирдзе З.Д., Нижарадзе Н.С., Балахашвили М.И., Табатадзе Г.С., Мшвилдадзе М.Д.

Резюме: Методами химического, термографического, петрографического и рентгеноструктурного анализов проведено детальное исследование проб доломитов Скурского месторождения.

Доказано, что доломиты Скурского месторождения представляют сырье высокого качества и установлена пригодность его для получения высокоогнеупорного доломит-серпентинитового клинкера. Сырье характеризуется однородностью, принадлежит доломитам 1-го класса, значение известково-магнезиального модуля которого довольно высокое (1,62) по сравнению с теоретическим значением (1,39).

Ключевые слова: доломиты; Скурское месторождение; высокоогнеупорный клинкер; футеровка тепловых агрегатов.

შაბ 666.95

გარემონის რაიონის სოფელ გამარჯვების ადგილმდებარეობის თიხების შესწავლა და შეზასხვა

გ. ლოლაძე, თ. ჭეიშვილი, ე. ნიკოლაიშვილი

ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო, 0175, თბილისი, კოსტავას 69

E-mail: g.loladze@gtu.ge

რეზიუმე: შესწავლითია სოფ. გამარჯვების ადგილმდებარეობის თიხების მინერალოგიური შედგენილობა პეტროგრაფიულად და რენტგენოფაზური ანალიზით, დაღგენილია მათი ძირითადი მახასიათებლები და ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. თიხების შედგენილობა წარმოდგენილია ძირითადად Ca-მონტმორილონიტით და ქლორიტებით, რომლებიც მცირე რაოდენობით შეიცავს ჰიდროქარსებს და სხვა მინერალებს. ეს თიხები მიეკუთვნება მერგელთა სახეობას, გამოიჩინა ზომიერი პლასტიკურობით, ადგილნობადობით და შეცხობისადმი ნაკლებადად მიღრებილი. მათი გამოყენება ტრადიციული კერამიკული ნაწარმის მიღების პრაქტიკულ საქმიანობაში მაკორექტირებელი დანამატების გამოყენებას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: თიხა; მერგელი; მინერალოგია; მონტმორილონიტი; შეცხობა; ჰიდროქარსები.

1. შესავალი

ცნობილია, რომ საქართველოში არ მოიძებნება ისეთი მხარე, სადაც არ მოიპოვება დაბალდნობადი, ე.წ. წითელი თიხები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება აგურის, კრამიტის და მაიოლიკის წარმოებაში [1]. კერამიკული ნაწარმის წარმოების სანედლეულო ბაზის გაფართოების მიზნით საკვლევ ობიექტად შერჩეულ იქნა გარდაბნის რაიონის სოფ. გამარჯვების ადგილმდებარეობის თიხები. აღნიშნული ტერიტორიის ასათვისებლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცემულია წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია (№10018 04.08.1995წ.), რაც ჩატარებული კვლევის აუცილებლობის განმსაზღვრელი გახდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული წიაღისეულის, კერძოდ თიხოვანი ქანების შესწავლის მიზნით ჩატარდა სამუშაო მათი ვარგისობის დასადგენად ისეთი კერამიკული ნაწარმის წარმოებისათვის, როგორიცაა კერამიკული აგური ან სხვა სახის ნაკეთობა. საკვლევად წარმოდგენილი თიხოვანი ქანის შუალედური სინჯის შესწავლა განხორციელდა კომპლექსურად: პეტროგრაფიული და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის

გამოყენებით, ხოლო ტექნოლოგიური თვისებების – გამოცდის სტანდარტული მეთოდით [2].


2. ძირითადი ნაწილი

საკვლევი მასალის – თიხის სინჯი ნაცრისფერია, შეიცავს მსხვილ და საშუალო ზომის მარცვლებს, ადგილად ისხნება წყალში, მაგრამ ლექის სახით (დეკანტაციის შემდეგ) რჩება წმინდა, მყარი ნარჩენი. მასზე 10%-იანი მარილმებას სხვარით ზემოქმედებისას გამოიყოფა (საკმაოდ აქტიურად) ბუშტები, რაც მიუთითებს მასალაში კარბონატული ნაერთების არსებობას. თუ მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ გამარჯვების ადგილმდებარეობის წიაღისეულის თიხოვანი შრის მომდევნო დრმა ფენები – ქვიშები წარმოდგენილია მნიშვნელოვანი არაერთგვაროვანი (მინერალოგიური თვალსაზრისით) ნაერთებით, რომლებიც განხილულია შესაბამის ლიტერატურაში [3], შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კარბონატულ ნაერთოთა შროის წამყვანი მინერალი კალციტი უნდა იყოს.

საკვლევი თიხების როული მინერალოგიური შედგენილობა დასტურდება ჩატარებული პეტროგრაფიული და რენტგენოსტრუქტურული კელევებით. მიკროსკოპში საკვლევი მასალის – მინახების შესწავლით გამოიკვეთა მისი წვრილმარცვლოვანი და, ამავე დროს, მდვრიყ, გათიხებული და გაკარბონატებული სტრუქტურა, რომელშიც ფიქსირდება მინდევრის შპატის, კვარცის და სხვა (მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობით) მინერალები: ქარსის ქერცლები და რქატყუარას მარცვლები, რომლებიც მთლიანად გაბნეულია თიხოვან მასაში. თიხოვან იზოტროპულ ნივთიერებაში მკაფიოდ ფიქსირდება მასში განაწილებული კარბონატული ბუნების წმინდა ნაწილები. მასალის მინერალოგიური შესწავლის შედეგები დასტურდება რენტგენფაზური ანალიზით, რაც განხორციელდა DPOH-1,5 ტიპის ხელსაწყოზე, ფაზათა იდენტიფიკაციის ჩატარებით [4]. თიხის რენტგენფაზური ანალიზით მიღებული შედეგები წარმოდგენილია ნახაზზე შერის-დიაგრამის სახით, შესაბამისი სიბრტყეთშრისი მანძილების და ფაზათა პირობითი აღნიშვნებით. დადასტურდა, რომ თიხის დისპერსიულ ფაზას წარმოადგენს Ca-მონტმორილონიტი, ხოლო სხვა კრისტალური ნაერთებიდან იკვეთება კალციტის და კვარცის არსებობა. ამავე დროს გამოვლინდა მცირე რაოდენობის შპატის

ტების და ქლორიტების არსებობის შესაძლებლობა. მათგან პირველი ე.წ. პლაგიოკლაზია (Ca-Na მინდვრის შპატი), რომელშიც წამყვანი ფაზა ანორტიტული შედგენილობისაა, ხოლო მეორე სახეობა (ქლორიტები) – ფუძე ხასიათის რეინა-

შემცველი პიდროალუმინისილიკატი [8]. ეს უკანასკნელი, შედგენილობისა და ღრმა შეფერილობიდან გამომდინარე, საკვლევი მასალის ფერსა და ადგილდნობადობაზე უნდა ახდენდეს გავლენას [5].



სოფ. გამარჯვების თიხის შტრიხ-დიაგრამა

ფაზათა პირობითი აღნიშვნა: Mt – მთხელირილონიტი; Ca – კალციტი; An – ანორტიტი; Al – ალბიტი; Chl – ქლორიტები; Q – კვარცი

საკვლევ თიხებში შემავალი მსხვილმარცვლოვანი არათიხოვანი ჩანართების რაოდენობის განსაზღვრა განხორციელდა თიხის წყალში გაჯირჯვებით და შემდგომ სუსპენზიის საცერთა წყობაში გატარებით. ჩანართების საერთო პროცენტული შემცველობა 4,3% შეადგენს, ხოლო საცერებზე ნარჩენთა რაოდენობრივი განაწილება მოყვანილია 1-ელ ცხრილში.

ცხრილი 1

თიხის წყალხსნარის გაცრითი ანალიზის შედეგები

თიხის ემულსია		საცრის ნომერი და მასზე ნარჩენი ფრაქცია		
საწყისი თიხის წონა	წყალი	საცრის №	საცერზე ნარჩენი, %	
1000 გ	3000 მლ	10	0,8	
		7	0,6	
		5	0,8	
		2	0,6	
		1	0,5	
		0,5	0,3	

მიკროსკოპულად წყალში უხსნარი ნარჩენი ძირითადად წარმოდგენილია სფეროიდული ფორმის გრანულებით, მაგრამ გვხვდება ნაჭუჭის მსგავსი ფორმის ჩანართები. რაც შეეხება თიხის წყალში უხსნარ ნაწილს, მთლიანობაში

ის წარმოდგენილია წმინდა (ალევრიტული ზომის) მყარი ჩანართებით, მათ შორის გვხვდება კაოლინური კირქვები, აგლომერირებული კვარცის და სხვა სახის ქანების მარცვლები.

საკვლევად აღებული თიხის ტექნოლოგიური პარამეტრების დასადგენად გამოყენებულ იქნა დაყალიბების პლასტიკური და ნახევრად პლასტიკური მეთოდები [2]. პლასტიკური მეთოდით მომზადებული მასები კარგად გადაიბერა, შრობის პროცესში საცდელ ნიმუშებს ბზარები არ უჩნდება. ნახევრად პლასტიკური მეთოდით დაყალიბებული ფილები (50x50მმ ზომის) გამოყენებული ფილები (50x50მმ ზომის) გამოყენება

ბულ იქნა თიხის ტექნოლოგიური პარამეტრების დასადგენად. ბუნებრივად ოთახის ტემპერატურაზე გამომშრალი ნიმუშების გამოწვევა ხდებოდა მუფელის ტიპის ელექტროლუმელში. გამოწვის ტემპერატურა შეადგენდა 900–1050°C, ხოლო საბოლოო ტემპერატურაზე დაყოვნების დრო – 1 სთ. გამოწვის ნიმუშების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

საცდელი ნიმუშების ძირითადი მახასიათებლები (შუალედური მნიშვნელობები)

ნიმუშის №	გამოწვის პარამეტრები		საერთო ჩაჯდომა, %	წყალშთან-თქმა, %	სიმტკიცის ზღვარი კუმუნიკაცია, კგ/სმ ²	ნიმუშის ფიზიკური შეფასება
	ტემპერატურა, °C	დრო, სთ				
1	900	1,0	5	37,7	40	ღია რუხი-მოთეთრო, ბზარები არ არის
2	950	1,0	5	32,4	46	ღია ჩალისფერი მოთეთრო, ბზარები არ არის
3	1000	1,0	4	31,1	54	მოგარდისფრო, ბზარები არ არის
4	1050	1,0	4	29,2	65	ღია მოგარდისფრო, ბზარები არ არის

საცდელი თიხებისათვის განისაზღვრა პლასტიკურობის რიცხვი, რომლის მნიშვნელობა 11-ს შეადგენს, რაც შესაძლებელს ხდის ისინი მივაკუთვნოთ ზომიერად პლასტიკური სახეობის თხებს. გარდა ამისა, ცეცხლგამძლეობის განსაზღვრით დადგინდა, რომ ეს თიხები ადგილდნობადია და, ამავდროულად, ნაკლებად შეცხობადი.

სახის და შედგენილობის მასალების დამატების ხარჯზე.

ლიტერატურა

1. Природные ресурсы Грузинской ССР / Под ред. Ф.Н. Тавадзе. Том II. М.: Изд-во АН СССР, 1959, с. 79-142.
2. Лукин Е.С., Андрианов Н.Т. Технический анализ и контроль производства керамики. М.: Стройиздат, 1975. - 275с.
3. ჭეიშვილი, გ. ლოლაძე, ვ. ნიკოლეგიშვილი. გამარჯვების აღილმდებარეობის ქვიშარების შესწავლის და ზოგადი შეფასების საკითხი // საქართველოს ქიმიური ჟურნალი, №15(1), 2015, გვ. 137-139.
4. Рентгенометрический определитель минералов. М.: Госгеотехиздат, 1957. – 868 с.
5. Штрибель Г., Циммер З.Х. Минералогический словарь. М.: Недра, 1987, 494 с.
6. გ. ლოლაძე, ვ. გორდელაძე. კახეთის რეგიონის, პატარძეულისა და წყაროსთავის თხების მინერალოგიურ-ქიმიური თვისტებები // საქართველოს კერამიკოსთა ასოციაციის მე-2 საერთაშორისო კონფერენციის შორმების კრებული. თბ., 2009, გვ. 125-128.
7. გ. ლოლაძე. წყაროსთავის ადვილდნობადი თიხების გამოყენების პერსპექტივები ნორმალური აგურის და კერამიკული ბლოკების წარმოებაში // საქართველოს ქიმიური ჟურნალი, №12(1), 2012, გვ. 21-23.
8. Августиник А.И. Керамика. Л.: Стройиздат, 1975, с. 63.

3. დასკვნა

საკვლევი თიხების მინერალოგიური შედგენილობა როგორიცაც მაგრამ მსგავსებას ავლენს „სამეტობლო“ განლაგებულ პატარძეულისა და წყაროსთავის ადგილმდებარეობის თიხებთან [6,7]. ამავე დროს, მათ შედგენილობათა შორის განსხვავებაა – სოფელ გამარჯვების ადგილმდებარეობის თიხებში მეტია კალციოტური შემადგენელი, რომელიც თიხებში განაწილებულია წვრილი და საშუალო ზომის ნაწილებების სახით. სხვა მყარი და წყალში უხსნარი შედგენილობიდან (კვარცი, პლაგიოკლაზი და სხვა) მნიშვნელოვანია თიხაში შემავალი რკინაშემცველი პიდროალუმინილიგატები (ქლორიტები), რომლებიც მისი ადვილდნობადობის განმსაზღვრელი ხდება. თიხაში წარმოდგენილი ორივე ინგრედიენტის აღნიშვნელი მასალის მონაცემის სახით (კალციტი და ქლორიტი) თანაარსებობა გამოყენების სფეროების შემზღვდვები ფაქტორს წარმოადგენს და მისი მერგელის სახეობის თიხებისადმი მსგავსების წინაპირობას ქმნის [8], ამავე დროს შესწავლით თიხის გამოყენება შესაძლებელი იქნება ბევრი სამშენებლო მასალის (მაგალითად, აგურის) წარმოებაში, თუ ჩარდება მისი შედგენილობის კორექტირება სხვა

UDC 666.95

STUDY AND ASSESSMENT OF CLAYS OF GAMARJVEBA DEPOSIT, GARDABANI DISTRICT

G. Loladze, T. Cheishvili, E. Nikolaishvili

Resume: Mineralogical composition of clays of Gamarjveba deposit of Georgia is determined by petrographic and X-ray phase analyses, and their characteristic physical-mechanical properties are established. It is shown that clay composition is basically represented by Ca-montmorillonite and chlorites, they also contain in small quantities hydrous micas and other admixtures. These clays belong to the group of marls, are characterized by plasticity, high fusibility and small tendency to fritting. Application of mentioned clays for production of traditional ceramic wares will require adjustment of their composition with the use of appropriate additives..

Key words: clay; marl; mineralogy; fritting; montmorillonite; hydrous mica.

УДК 666.95

ИЗУЧЕНИЕ И ОЦЕНКА ГЛИН ГАМАРДЖВЕБСКОГО МЕСТОПОЛОЖЕНИЯ ГАРДАБАНСКОГО РАЙОНА

Лоладзе Г.З., Чеишвили Т.Ш., Николаишвили Е.К.

Резюме:Петрографическим и рентгенографическим анализами определен минералогический состав глин Гамарджвебского месторождения Грузии, установлены их характерные химико-механические свойства. Показано, что состав глин в основном представлен Са-монтмориллонитом и хлоритами, в малом количестве он содержит гидрослюды и другие примеси. Эти глины относятся к группе мергелей, характеризуются пластичностью, легкоплавкостью и малой склонностью к спеканию. Применение данных глин для производства традиционных керамических изделий потребует корректировки их состава с использованием соответствующих добавок.

Ключевые слова: глина; мергель; минералогия; монтмориллонит; спекание; гидрослюда.

შაპ 666.12

სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველოს რეინაშემცველი მშავა ქანების შესრულებული მინების მისაღებად

ი. ქამუშაძე, ლ. გაბუნია, ე. შაფაქიძე*, ი. გეჯაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ალექსანდრე თვალჭრულიძის კაფეასის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, მინდელის 11, თბილისი, საქართველო

E-mail: ellennelia@gmail.com

რეზიუმე: შესწავლით იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს რეინაშემცველი მუნიციპალიტეტის მინების (კაზრეთის, მუშევანის, გუგუთის და არაქელის ტუფების) გამოყენების შესაძლებლობა თეორი და ფერადი დახსული მინების მისაღებად. ამ ქანების საფუძველზე შემუშავდა კაზმების ოპტიმალური შედგენილობები. გამოვლინდა, რომ რკინაშემცველ მინებში ინტენსიურ დახსობას იწვევს KH_2PO_4 , კალციუმიან ფოსფატებს შორის კი უკეთესია $\text{Ca}_3(\text{PO}_4)_2$. რკინის ოქსიდების არსებობა აფერებს მკვეთრი თეორი ფერის რეალიზებას. საღებარის დამატებით მიღება ფერადი დახსული მინები. შემუშავებული შედგენილობები ხასიათდება დადგებითი ტექნოლოგიური და საექსპლუატაციო პარამეტრებით.

საკვანძო სიტყვები: რკინაშემცველი მინა; კაზმის შედგენილობა; დახსული მინა; თეორი და ფერადი მინა.

1. შესავალი

დახსული (დაყრუებული) მინა ოპტიკურად არაერთგვაროვნი და გაუმჯორია. მათი გარე სახე დამოკიდებულია მათში არექლილ და გატარებულ სინათლის სხივთა თანაფარდობაზე. დაყრუების გამომტვევი მიზეზი სხვადასხვაა, მათ შორის არის დახსობა ისეთი დამაყრუებლების გამოყენებით, რომლებიც იხსნება გამდნარ მასაში, ხოლო გაცივებისას კრისტალების სახით გამოიყოფა (ფოთორიანი და ფოსფორიანი ნაერთები).

ფოთორიდებით დახსული მინებისათვის დამახსინებელია წვრილმარცვლოვნება ($0,1\text{--}5 \text{ } \mu\text{m}$). დაყრუების ხარისხიდან გამომდინარე, ფოთორის რაოდენობა მერყეობს $4\text{--}15\%$ ფარგლებში [1]. დამაყრუებლად ფოთორის ნაერთების გამოყენება გამოწვეულია მათში შუქტექნიკური და ტექნოლოგიური თვისებების შერწყმით. გამდნარი ფოთორიანი მინა მაღალ ტემპერატურაზე აბსოლუტურად გამჭირვალეა. დაყრუება იწყება 1000°C -დან და ქვემოთ.

ფოთორიდების დამაყრუებლად გამოყენება, ეპოლოგიური თვალსაზრისით, მიზანშეწონილი

არ არის, რადგან ხარშვისა და დამუშავების პროცესში ადგილი აქვს ფოთორის ნაერთების მნიშვნელოვან დანაკარგი ($>30\%$), ეს კი, თავის მხრივ, იწვევს დაყრუების ხარისხის არასტაბილურობას.

დახსული მინების წარმოებაში დამაყრუებლად ასევე გამოიყენება ფოსფორიანი ნაერთები. ფოსფორიან მინებს, ფოთორიანებთან შედარებით, გაცილებით მაღალი გარდატეხის მაჩვენებელი აქვს, რის გამოც მათი გამოყენება უფრო ეფექტურია დაბალი გარდატეხის მაჩვენებლის მქონე მინების დასაყრუებლად.

ფოსფორიანი დამაყრუებლები გარკვეული უპირატესობით ხასიათდება: დამაყრუებლის კონცენტრაციის შეცვლით შესაძლებელია დაფრუების სასურველი ხარისხის მიღება; მათი დანაკარგების რაოდენობა მცირეა. ამასთან ფოსფორიანი ნაერთების აქროლადობა ნაკლებია და დამოკიდებულია მინის ხარშვისა და დამუშავების ხანგრძლივობაზე და, რაც მთავარია, ფოსფორიანი მინების ხარშვისას გამონაბოლქვი ნაკლებად ტოქსიკურია [2]. ამავე დროს, ავტორების [3] აზრით, ფოსფორიანი მინების კაზმების თვითდირებულება, ფოთორიანთან შედარებით, $25\%-ით$ უფრო დაბალია.

P_2O_5 -ით დაყრუებული მინების კაზმის გაანგარიშებისას ითვალისწინებენ ანჰიდრიდის დანაკარგი აქროლადობაზე. ლიტერატურული მონაცემები ამ საკითხზე ურთიერთსაწინააღმდეგოა. ზოგიერთი თვლის, რომ ფოსფატის ნაწილობრივი დისოციაციის შედეგად ანჰიდრიდის მცირე რაოდენობა მაღალ ტემპერატურაზე ქროლდება. მათი აზრით, P_2O_5 -ის დანაკარგები, [2]-ის ავტორთა მოსაზრების საწინააღმდეგოდ, დამოკიდებულია ხარშვის დროსა და ტემპერატურაზე, მინის ქიმიურ შედგენილობასა და ფოსფატის სახეობაზე [4].

ავტორთა მიერ [5, 6] შესწავლით იქნა P_2O_5 -ის გაგლენა მაღალკალციუმიან მინებში. ანიშნულ სისტემაში სახარში და დასამუშავებელი თვისებების მირითადი კრიტერიუმი $\text{P}_2\text{O}_5/(\text{CaO} + \text{MgO})$ ფარდობაა. ეს უკანასკნელი ისე უნდა იყოს შერჩეული და სხვა კომპონენტების შესაბამისი, რომ არ მოხდეს უხსნარი $\text{MeO}\cdot\text{P}_2\text{O}_5$ ტი-

პის შენაერთების წარმოქმნა. ექსპერიმენტულად დაადგინეს, რომ დამაკმაყოფილებელი ტექნოლოგიური მაჩვენებლების უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ $(P_2O_5/(CaO+MgO)) \geq 2$. ამავე დროს ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ხშობის პროცესზე SiO_2 -ის მადალი შემცველობის უარყოფით გავლენაზე და ასევნიან, რომ SiO_2 -ის მაქსიმალური რაოდენობა 67% არ უნდა აღემატებოდეს. ასევე მიუთითებენ Al_2O_3 -ის და K_2O -ის დადგინთ გავლენასა და P_2O_5 კომპონენტის აქტოლადობის შემცირებაზე.

სამცნიერო ლიტერატურის ანალიზიდან გამომდინარე, ფოსფორიანი დამაყრუებლები, ფორმინათან შედარებით, არატოქსიური და არადეფიციტურია და, რაც მთავარია, ხშობის ხარისხი სტაბილურია, ამავე დროს P_2O_5 -ის შევვანით ხარშეის ტემპერატურა ნაწილობრივ მატულობს და უფრო „ხისტი“ მინები მიიღება. ამ მცირე ნაკლის მიუხედავად, დასახული მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია დამაყრუებლები ფოსფორიანი ნაერთების გამოყენება.

2. ძირითადი ნაწილი

სამუშაოში განხილულია დაყრუებული (დახული) თეთრი და ფერადი მინების მიღების შესაძლებლობა სამხრეთ-აღმოსავალეთ საქართველოს მეცნიერების (კაზრეთის, მუშევანის, გუგუთის და არაქელის ტუფების) გამოყენებით. მოცემულია შესწავლილი ქანების არასრული ქიმიური შედგენილობების ზღვრები, მას.%: SiO_2 70-76; Al_2O_3 11-18; $FeO+Fe_2O_3$ 1,5-2,8; RO 2,5-2,6; R_2O 4,5-6,0.

მნიშვნელოვანია ქანში შემავალი ქრომოფორების (Fe , Mn , Ti) ოქსიდების გავლენის შესწავლა მინების ხშობის ხარისხება და ფერზე.

ავლენებისას ფუძე მინად აგირჩიეთ დაბალი გარდატეხის მაჩვენებლის მქონე ფანჯრის მინის სტანდარტული შედგენილობა შემდეგი კომპონენტების შემცველობით (წ.ხ.): SiO_2 - 68, Al_2O_3 - 3, CaO - 10, MgO - 2, Na_2O - 14, K_2O - 3.

მინის სინოზირებისას ბუნებრივი მეცნიერების კორექტორება წარმოებდა ადგილობრივი კვარც-მინდვრის შპატიანი ქვიშით და ქიმიური რეაქტივებით. შესწავლილი მეცნიერებით კაზრში კვარცის ქვიშის ნაწილობრივი შეცვლა საშუალებას მოგვეტის დაგზოგოთ საქართველოში ეს დეფიციტური ნედლეული და სანედლეულებაზა გავაფართოოთ.

კაზრში მეცნიერების მაქსიმალური რაოდენობა დამოკიდებული იყო მასში Al_2O_3 -ის შემცველობაზე. იგი მთლიანად უზრუნველყოფდა მინაში თიხამიწის დანამატებას.

სტაბილური ტექნოლოგიური მახასიათებლების მქონე მინების მისაღებად მათი სინოზირებისას გამოვიყენეთ დამაყრუებლები: ფოსფორმჟავაპალიუმი – KH_2PO_4 , კალციუმის მეტაფოსფატი – $Ca(PO_3)_2$, კალციუმის ორთოფოსფატი – $Ca_3(PO_4)_2$. მათი 100 წონითი ნაწილი მინის მისაღებ კაზრს ემატებოდა: $Ca_3(PO_4)_2$ – 12 წ.ნ., მისი იდენტური რაოდენობის – P_2O_5 -ის შესაფანად – 8 წ.ნ.; $Ca(PO_3)_2$ და KH_2PO_4 -ს კალციუმის 2-ჯერ მეტი P_2O_5 (აქროლადობას ვიდებდით 12%). საღებრად გამოიყენებოდა: Cu_2O , Cr_2O_3 , Co_2O_3 , MnO_2 - 0,5-3 წ.ნ.

მომზადებული კაზრი იხსარშებოდა კარბორუნდის გამახურებლიან ელექტროდუმელში 1480–1500°C-ზე, ისხმებოდა ლითონის ფორმაში, ხოლო მოწვა წარმოებდა მუფელის ლუმელში 550–600°C-ზე.

ქიმიური მდგრადობა ნულისა და აგრესიული არების მიმართ განისაზღვრა ფხვნილის მეოდით; თერმომდგრადობა – მონაცვლეობითი გაცხელებისა და გაცივების მეოდით; ყინვამედგრება – მონაცვლეობითი გაყინვისა და გალხობის მეოდით.

მოიხარშა თეთრი და ფერადი დახული მინები (ნახ. 1-5). კალციუმის ორთოფოსფატი დახული მინები გამოირჩევა ინტენსიური დაფრუებით, შედარებით მსხვილი კრისტალებით. ქანში მნიშვნელოვანი რაოდენობის რკინის ოქსიდების შემცველობის გამო მკვეთრი თეთრი ფერის მიღება შეუძლებელია. საღებარის დამატებით მკვეთრად შეღებილი დახული ნიმუშები მიიღება. რაც შეეხება კალციუმის მეტაფოსფატით დახშობას, მიიღება შედარებით სუსტად დაყრუებული მინები. Ca -ის ორივე დამხმობით მინაში P_2O_5 -ის ერთნაირი რაოდენობა შედის, განსხვავება მხოლოდ CaO -ს შემცველობაშია, ორთოფოსფატით მნიშვნელოვნად ჭარბი რაოდენობა შედის, ვიდრე მეტაფოსფატით (6,5 წ.ნ. 2,6 წ.ნ.-ის წინააღმდეგ). ცნობილია, რომ CaO ხელს უწყობს განვენადობას, შესაბამისად მისი რაოდენობის გაზრდა დადებით გავლენას ახდენს მინების დახშობის ხარისხზე.




ნახ. 1. თეთრი მინა სალებარის გარეშე



ნახ. 2. ფერადი მინა – სალებარი 0.7% $K_2Cr_2O_7$



ნახ. 3. ფერადი მინა – სალებარი Co_3O_4



ნახ. 4. ფერადი მინა – სალებარი 0.5% CuO



ნახ. 5. ფერადი მინა – სალებარი 3% MnO

კალციუმიანთან შედარებით – KH_2PO_4 -ით დახსული მინები თეთრიც და შედებილიც ინტენსიურად დაყრუებულია. მიუხედავად მინაში K_2O -ის ჭარბი (7 წ.6) რაოდენობისა, იგი ხელს არ უშლის დახმობას, პირიქით უფრო ინტენსიურად აყრუებს P_2O_5 -ის აქროლადობის შემცირებისა [5] და მისი ორჯერ მეტი შემცველობის გა-

მო. ამ ეფექტს ისიც აძლიერებს, რომ აღნიშნულ შედგენილობაში K_2O -ს შეუვანა ქმნის მრავალ-ტუტე ეფექტს, რომლის დადებითი გავლენა ვლინდება მინის თვასებებზე.

მიღებული ნიმუშები ხასიათდება დამაგრაფულებელი თვისებებით, რომელიც მოცემულია ცხრილში.

თერმომდგრადობა, მონაცემებითი გათბობისა და გა- ცივების ციკლები	ყინვამედეგობა, მონაცემებითი გაყინვისა და გალ- ხობის ციკლები	ქიმიური მდგრადობა, %		
		H_2O	1N NaOH	1N HCl
10	25	99,92 - 99,87	98,95 - 98,91	98,67 - 98,59

3. დასკვნა

ექსპერიმენტების შედეგების შეჯამებამ დაგვანახა, რომ ლიტერატურულ მონაცემებთან [5, 6] შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებული მონაცემები მივიღეთ P_2O_5/RO თანაფარდობის თვალსაზრისით. ჩვენ მიერ სინთეზირებულ მინებში ეს თანაფარდობა კალციუმიანი დამაგრუებლის შემთხვევაში მერყეობს 0,3–0,6 ფარგ-

ლებში, ხოლო კალიუმიანის გამოყენებისას 0,8 შეადგენს.

ადმოჩნდა, რომ საკვლევ ქანებში, რეინის მნიშვნელოვანი შემცველობის გამო, კალციუმიანი ფოსფატები ისეთი ინტენსიურობით ვერ ახშობს საკვლევ მინებს, როგორც KH_2PO_4 . ჩვენი აზრით, ამის მიზეზი უნდა იყოს P_2O_5/RO თანაფარდობებს შორის განსხვავება. რაც უფრო უა-

ხდოვდება იგი 1-ს, უკეთესი შედეგი მიიღება. ამავე დროს, ამ შედგენილობის დახმობას ხელს უწყობს K_2O -ს გაზრდილი რაოდენობა, რაც შეესაბამება [5, 6] მონაცემებს. უკეთეს შედეგს იძლევა ის შედგენილობა, რომლებშიც RO -ს რაოდენობა P_2O_5 -თან შედარებით ნაკლებია, რის შედეგადაც მათში $RO \cdot P_2O_5$ უქსნარი ნაერთის წარმოქმნა გამოირიცხება.

შეფერილი დახმული მინების ტექნოლოგიური პარამეტრების მიხედვით, ზოგიერთი საღბარის დამატება მინის მასის სიბლანტეს საგრძნობლად ამცირებს, შესაბამისად იზრდება დენადობის უნარი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა სპეციალური და მანგანუმის ოქსიდები.

ლიტერატურა

1. Пискарев В.А. Декоративно-отделочные строительные материалы. М.: Высшая школа, 1977, с. 54.

2. Саркисов П.Д., Лясин Ф.Ф. Новые отделочные материалы на основе стекла. М.: Госстрой, 1978. - 104. с.
3. Кутателадзе К.С., Верулашвили Р.Д., Хубелашивили Ш.Т. Применение фосфора в качестве заменителя фтора в производстве глушеных стеклоплиток // Тех. инф. «Строительные материалы», 1971, №4, с. 7.
4. Трофимов Т.Ф., Саркисов П.Д., Смирнов В.П. Разработка цветных глушеных стекол // РИ «Производство стекла», ВНИИСПВ, М., 1987, вып. 2, с. 5-7.
5. Кутателадзе К.С., Верулашвили Р.Д. и др. Производство новых составов стекломозаичных плит // Стекло и керамика, 1971, №2, с. 15.
6. Кутателадзе К.С., Верулашвили Р.Д. и др. Разработка и внедрение новых составов глушеных стекол // Стекло и керамика, 1975, №24, с. 30.

UDC 666.12

STUDYING OF FERRUGINOUS ACID ROCKS OF SOUTHEAST GEORGIA FOR RECEPTION OF OPACTIFIED GLASSES

I. Kamushadze, L.Gabunia, E. Shapakidze, I. Gejadze

Resume: Possibility of application of ferruginous acid rocks of southeast Georgia (tuffs of Kazreti, Mushevani, Guguti and Arakeli deposits) are studied for reception of white and coloured opacified glasses. On the basis of these rocks have been developed glass mixtures of optimum composition. It has been revealed, that KH_2PO_4 calls more intensive opacification in iron-containing glasses, and among calcium phosphates the best is $Ca_3(PO_4)_2$. Presence of ferric oxides does not allow to receive some glass of insistent white color. The additive of colouring oxides promotes reception coloured opacified glasses. The received compositions have satisfactory technological and service properties.

Key words: iron-containing glass; charge composition; opacified glass; white and a coloured glass.

УДК 666.12

ИЗУЧЕНИЕ ЖЕЛЕЗОСОДЕРЖАЩИХ КИСЛЫХ ГОРНЫХ ПОРОД ЮГО-ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ ГЛУШЕНЫХ СТЕКОЛ

Камушадзе И.Г., Габуния Л.В., Шапакидзе Е.В., Геджадзе И.В.

Резюме: Изучена возможность применения железосодержащих кислых горных пород юго-восточной Грузии (туфы Казретского, Мушеванского, Гугутского и Аракелского месторождений) для получения белых и цветных глушеных стекол. На основе этих пород были разработаны стекольные шихты оптимального состава. Было выявлено, что KH_2PO_4 вызывает более интенсивное глушение в железосодержащих стеклах, а среди кальциевых фосфатов лучшим является $Ca_3(PO_4)_2$. Присутствие железнистых оксидов не позволяет получить стекла яркого белого цвета. Добавка красящих оксидов способствует получению цветных глушеных стекол. Полученные составы отличаются удовлетворительными технологическими и эксплуатационными свойствами.

Ключевые слова: железосодержащее стекло; состав шихты; глушеное стекло; белое и цветное стекло.

მ ი ლ ო ც ვ ა

ლერი გვასალია

ცნობილი ქიმიკოს-ტექნოლოგი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლერი გვასალია დაიბადა 1935 წლის 15 სექტემბერს ქ. ქუთაისში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1958 წელს. 1968 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა. შრომისმოყვარეობით და ნიჭიერებით გამორჩეულმა ინჟინერმა 1958 წლიდან 1968 წლამდე რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში უფროსი მეპარატის, ცვლის უფროსისა და სამქროს უფროსის მოადგილის თანამდებობებზე დააგროვა მდიდარი პრატქიკული გამოცდილება. ეს ის პერიოდია, როდესაც ქარხანა სულ 2 წლის ამჟამავებულია და ამიერკავკასიაში ერთადერთია. ბმული აზოტის წარმოების ამ მეტად საპასუხისმგებლო ობიექტზე დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების აშკარა დეფიციტია და საწარმოო პროცესის მართვაში, ერთი შეხედვით უმნიშვნელო გადაცდომაც კი ტრაგიკულად შეიძლება დასრულდეს. ბატონ ლერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქარხანაში ტექნოლოგიური პროცესების უნებლიერ დარღვევები, მისი გონიერივი ნიჭისა და ალღოს წყალობით, დროულად ყოფილა აღკვეთილი, რაც არაერთხელ აღინიშნა განსაკუთრებული პრემიით.

1963 წლიდან 1968 წლამდე ბ-6 ლერის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტში წამყვანი ინჟინრის თანამდებობა ეჭირა. 1968 წლიდან 2006 წლამდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (1990 წლიდან ტექნიკური უნივერსიტეტის) არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრაზე რუდუნებითა და კეთილსინდისიერებით განვლო აკადემიური თანამდებობის ყველა საფეხური – ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე. 1998 წლიდან 2002 წლამდე ბ-ნი ლერი გვასალია ითავსებდა ს/ს „აზოტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას. საქართველოსთვის ამ მეტად მძიმე პერიოდში მან დირსეული წვლილი შეიტანა ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი საწარმოს სრული განადგურებისგან გადარჩენის საქმეში.

2006 წლიდან დღემდე ბ-ნი ლერი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სრული პროფესორია, წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ამ ფაკულტეტის არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის მიმართულებას, თავმჯდომარეობდა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს.



პროფესორი ლერი გვასალია
თანამშრომლებთან ერთად

პროფ. ლერი გვასალია წამყვან სალექციო კურსებს კითხულობდა და კითხულობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში:

1. ტექნოლოგიური პროცესების თეორია;
2. არაორგანულ ნაერთთა ტექნოლოგია;
3. ზოგადი ქიმიური ტექნოლოგია (თსუ-ში);
4. მათემატიკური მეთოდების გამოყენება ქიმიასა და ქიმიურ ტექნოლოგიაში (სტუ-ის და თსუ-ის მაგისტრანტებისათვის).

პროფ. ლ. გვასალიას ინიციატივით ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე გაიხსნა ახალი სპეციალობა – ქიმიური და კვების მრეწველობის ექსპერტიზა. მრავლისმომცველია პროფ. ლ. გვასალიას სამეცნიერო კვლევის სფეროები – ქიმიურ ტექნოლოგიაში ახალი ეფექტური კატალიზატორების ტექნოლოგიის შემუშავება და კვლევა, წყლისა და გამავალი აირების გაწმენდა მყარი სორბენტებით, ადგილობრივი ნედლეულის გამოყენება.

შედეგებზე გათვლილი 126 სამეცნიერო შრომიდან 12 სახელმძღვანელო და სასწავლო მეთოდური ლიტერატურაა, 1 მონოგრაფია, არის 12 გამოგონებაზე საავტორო მოწმობის და პატენტის მფლობელი. ქიმიურ და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებაში ცნობილი მეცნიერის, დამსახურებული პროფესორის, ბ-ნი ლერი გვასალიას ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 3 სადოქტორო, 12 საკანდიდატო და 10 სამაგისტრო დისერტაცია.

80 წელი არც ისე ბევრია, ვისთვისაც არ არსებობს დაღლა საქმეში, რასაც ახალგაზრდობის აღზრდა და ახალი კადრებით სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების მუდმივი განახლება ჰქვია. ასეთია ბ-ნი ლერი გვასალია, რომელიც მისთვის ჩვეული ენერგიით აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოდგაწეობას. ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და დიდხანს სამსახურს საქართველოსთვის ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი

სტუ-ის აკადემიური საბჭო

**სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და
მეტალურგიის ფაკულტეტი**

ეურნალ „კურამიკის“ რედკოლეგია

შინაარსი

განხსნება

ნიკოლოზ ბექაური 3

მთვრილობა და ტექნოლოგია

ალ. კანკაძე, თ. კილაძე, ი. ამანათაშვილი. საქართველოს ლოგისტიკური
ფინანსურული მიმღების კონცერნის მიმღების ამაღლების გზების კვლევა 6
ზ. კოვზირიძე. მართვადი ლოგისტიკური კიპერთერმინის მეთოდით სწორი
ნაწილისა და სამგზოლოსნოს ყელის კიბოს სამგზონალო აპარატი 11
ზ. კოვზირიძე, ნ. ნიუარაძე, მ. ბალახაშვილი, გ. ტაბატაძე, მ. მშვილდაძე. სტურის
ადგილმდებარეობის დოკუმენტის შესრულება მაღალცეცხლგამძლე
კომპიუტერული დარმოუბნისათვის 20
გ. ლოლაძე, თ. ჭეიშვილი, ე. ნიკოლაიშვილი. ბარდაბნის რაიონის სოფელ
გამარჯვების ადგილმდებარეობის თიხების შესრულება და შევასება 26
ი. ქამუშაძე, ლ. გაბუნია, ე. შავაქიძე, ი. გეჯაძე. სამხრეთ-აღმოსავლეთი
საქართველოს რკინაშემცველი მშაგა ქანების შესრულება დამუშავების
მისამართი 30

მიზანი

ლერი გენერალი 34

CONTENTS

REMINDING

Nikoloz Beqauri	3
-----------------------	---

SCIENCE END TECHNOLOGY

A. Kankadze, T. Kiladze, I. Amanatashvili. GEORGIAN LOGISTICS FIRMS TO IMPROVE THE COMPETITIVENESS OF THE ROAD SURVEY	6
Z. Kovziridze. APPARATUS FOR TREATMENT OF PROCTOLOGIC (RECTUM) AND CERVIX UTERUS CANCER DISEASES BY THE METHOD OF LOCAL CONTROLLED HYPERTHERMIA	11
Z. Kovziridze, N. Nizharadze, M. Balakhashvili, G. Tabatadze, M. Mshvildadze. STUDY OF SKURI DEPOSIT DOLOMITE FOR PRODUCTION OF HIGH REFRACTORY COMPOSITES	20
G. Loladze, T. Cheishvili, E. Nikolaishvili. STUDY AND ASSESSMENT OF CLAYS OF GAMARJVEBA DEPOSIT, GARDABANI DISTRICT	26
I. Kamushadze, L. Gabunia, E. Shapakidze, I. Gejadze. STUDYING OF FERRUGINOUS ACID ROCKS OF SOUTHEAST GEORGIA FOR RECEPTION OF OPACIFIED GLASSES	30

GREETING

Leri Gvasalia	34
---------------------	----

СОДЕРЖАНИЕ

К ПАМЯТИ

Николоз Бекаури	3
-----------------------	---

НАУКА И ТЕХНОЛОГИЯ

Канкадзе Ал.Дж., Киладзе Т.Д., Аманаташвили Я.Т. ИССЛЕДОВАНИЕ ПУТЕЙ ПОВЫШЕНИЯ КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТИ ЛОГИСТИЧЕСКИХ ФИРМ ГРУЗИИ	6
Ковзирдзе З.Д. АППАРАТ ДЛЯ ЛЕЧЕНИЯ РАКА ПРЯМОЙ КИШКИ И ШЕЙКИ МАТКИ МЕТОДОМ УПРАВЛЯЕМОЙ ЛОКАЛЬНОЙ ГИПЕРТЕРМИИ	11
Ковзирдзе З.Д., Нижарадзе Н.С., Балахашвили М.И., Табатадзе Г.С., Мшвиладзе М.Д. ИЗУЧЕНИЕ ДОЛОМИТОВ СКУРСКОГО МЕСТОРОЖДЕНИЯ ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ ВЫСОКООГНЕУПОРНЫХ КОМПОЗИТОВ	20
Лоладзе Г.З., Чеишвили Т.Ш., Николаишвили Е.К. ИЗУЧЕНИЕ И ОЦЕНКА ГЛИН ГАМАРДЖВЕБСКОГО МЕСТОПОЛОЖЕНИЯ ГАРДАБАНСКОГО РАЙОНА	26
Камушадзе И.Г., Габуния Л.В., Шапакидзе Е.В., Геджадзе И.В. ИЗУЧЕНИЕ ЖЕЛЕЗОСОДЕРЖАЩИХ КИСЛЫХ ГОРНЫХ ПОРОД ЮГО-ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ ДЛЯ ПОЛУЧЕНИЯ ГЛУШЕНЫХ СТЕКОЛ	30

ПОЗДРАВЛЕНИЕ

Лери Гвасалиа	34
---------------------	----

kompiuterul i uzrunvel yofa m. bal axaSvi l i sa da n. daraxvel i Zis
redaqtorebni: n. ni JaraZe, d. SoSi aSvi l i

**saqarTvel os keramikosTa asociacia 2007 wel s
gawevri anda keramikosTa msofi i o federaci aSi**

**saqarTvel os keramikosTa asociacia 2002 wl i dan evropis
keramikosTa asociaci s wevria**

**saqarTvel os keramikosTa asociacia daarsda 1998 wel s
Jurnal i daarsda 1999 wel s**

Jurnal Si statiebi i bewdeba qarTul , inglisur, germanul da rusul enebze

*gamoqveynebul i masal is avtorebi pasuxismgebel ni arian moyvani i
faqtibis, citatebis da sxva monacemebis Serlevesa da sizusteze, aseve Ria
publ ikaciaSi kanoniT akrZal ul i monacemis gaxmaurebaze.
redaqcias SeuZl ia gamoqveynos masal ebi ise, rom ar iziarebdes avtoris
Sexedul ebebs.*

Авторы публикуемых материалов несут ответственность за подбор и точность приведенных фактов, цитат и других сведений, а также за неразглашение сведений, запрещенных законом к открытой публикации.

Редакция может публиковать материалы, не разделяя точку зрения автора.

Authors of the published materials are responsible for choice and accuracy of adduced facts, quotations and other information, also for not divulging information forbidden open publication.

Publishing material the editorial board may not share the views of the author.

Tbilisi, "keramika", Vol. 17. 2(34). 2015
masal is gadabeWdvisas Jurnal is miTiTeba aucil ebel ia

ТБИЛИСИ, "КЕРАМИКА", Vol. 17. 2(34). 2015

При перепечатке ссылка на журнал обязательна

TBILISI,"CERAMICS", Vol. 17. 2(34). 2015

Reference of magazine is obligatory on reprinting

pirobiTi nabewdi Tabaxi 3. tiraji 50 egz., fasi saxel Sekrul ebo.

saqarTvel os keramikosTa asociacia, Tbilisi, kostavas 69, tel : 233-53-48, Sida 62-39,
E-mail: kowsiri@gtu.ge, z. kovzirize

<http://www.ceramics.gtu.ge>



<http://www.ceramics.gtu.ge>